# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 23 ნოემბერი, 2013 წელი.

№226 (7354)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




# გილოცავთ გიორგობას!

## ამ მთავრობას 9 წელი არ ეყოფა გასარყვნელად ③

## „დემოკრატია“ ქართულად



⑤

## ⑥ მაინც რას წარმოადგენს ასოცირების ხელშეკრულება?

## ერაყელ ⑪ ახალგაზრდებს სულ უფრო მეტად იზიდავთ საქართველო

## საქართველო „ვარდების რევოლუციით“ განაწყენებულია ⑧



მსურველებს, აღნიშნონ ამ მოვლენის ათი წლისთავი, აქტივისტები გაჭირვებით აგროვებენ სოციალური ქსელების მეშვეობით

## „ვარდების რევოლუცია“ სისხლიანი იყო! ⑥



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

## ◉ ინფორმაცია



### ბიძინა ივანიშვილი სამართლიანობის უმაღლესი ორდენით დააჯილდოვეს

**როგორც** ბიძინა ივანიშვილის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ჯილდო ყოფილ პრემიერ-მინისტრს მსოფლიო იურისტთა ასოციაციის დელეგაციამ გადასცა.

დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პირველი ვიცე პრეზიდენტი პაატა ცნობილაძე, მეორე ვიცე პრეზიდენტი კიმ კორლი, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი აშშ-ში ბენ გრიფიტი, აღნიშნული ორგანიზაციის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ევდოკიმოვი.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ბიძინა ივანიშვილს მიღებისათვის, მისი ღვაწლისათვის მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში.

თავის მხრივ, ჯილდოსთვის მადლობა გადაუხადა მსოფლიო იურისტთა ასოციაციის წევრებს ბიძინა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ ადამიანისთვის სამართლიანობა უმთავრესი უნდა იყოს.

როგორც ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია სამართლიანობის უმაღლესი ორდენით ერთი დღით ადრე დააჯილდოვეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

### აზერბაიჯანის პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილს თანამდებობა მიულოცა

**აზერბაიჯანის** პრემიერ-მინისტრმა არტურ რასი-ზადემ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნა მიულოცა.

აზერბაიჯანის პრემიერი აღნიშნავს, რომ ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის და ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობები მყარი საფუძველი იქნება თანამშრომლობის განვითარებისთვის.

— ვიმედოვნებ, რომ გაგრძელდება ნაყოფიერი თანამშრომლობა, გაგრძელდება და გაღრმავდება კავშირები საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და წარმატებას სამსახურში, ხოლო მეგობარ ქართველს ხალხს — მშვიდობას და აყვავებას, — ნათქვამია აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის მისალოცში.

### უშიშროების საბჭოს რეორგანიზაცია შესაბამისი კანონის მიღების შემდეგ დაიწყება

**ეროვნული** უშიშროების საბჭოს ფლებამოსილებებსა და ფუნქციებს კანონი გვიკარნახებს, — ამის შესახებ უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინა იმერლიშვილმა განაცხადა.

მისი განმარტებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევიდეს ცვლილებები ორგანულ კანონში „უშიშროების საბჭოს შესახებ“, რის შემდეგაც უშიშროების საბჭოში რეორგანიზაცია მოხდება.

— დარჩება ის დეპარტამენტები და ფუნქციები, რომლებიც კანონში იქნება მითითებული და დაკომპლექტებაც ამის შემდეგ მოხდება, — აღნიშნა ირინა იმერლიშვილმა.

**ინტერპრესი**

## ◉ მართლმსაჯულება

# მთავარი პროკურორის მთავარი გამოწვევები



**21 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშნა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ყოფილი უფროსი ოთარ ფარცხალაძე. იუსტიციის სამინისტროში იმედოვნებენ, რომ, საკადრო და სისტემური ცვლილებების შედეგად, მთავარი პროკურატურა ღირსეულ ადგილს დაიკავებს მართლმსაჯულების სისტემაში. სხვაგვარად ფიქრობს საპარლამენტო ოპოზიცია, რომლის წარმომადგენელთა ვარაუდით, ახალი მთავარი პროკურორი პოლიტიკური დავალებების შესასრულებლად დაინიშნა.**

იუსტიციის მინისტრმა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ოთარ ფარცხალაძის კანდიდატურა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად წარადგინა. თეა წულუკიანის თქმით, ახალმა მთავარმა პროკურორმა ზუსტად იცის, რა და როგორ უნდა გააკეთოს სისტემის გასაჯანსაღებლად:

„აბსოლუტურად იდენტური ხედვა გვაქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის რეფორმები უნდა გატარდეს პროკურატურაში, პირველ რიგში, კადრების გაჯანსაღების კუთხით და იმ საქმეების გამოძიების დაჩქარების კუთხით, რაც საზოგადოების მოთხოვნაა და ამას არ შეიძლება ვინმე არ ეთანხმებოდეს. პირდაპირ გეტყვით, გახარებული ვარ იმით, რომ ჩვენ გვეყოლება ახალი მთავარი პროკურორი, რომელიც თავისი გუნდით მოვა“.

ახალი მთავარი პროკურორის გუნდში ვიხილავთ შიდა ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილე მიხეილ შაყულაშვილს, რომელმაც, თბილისის პროკურორის თანამდებობაზე მაია მწარიაშვილი შეცვალა.

საკადრო ცვლილების გატარების აუცილებლობაზე ლაპარაკობენ როგორც ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. იურისტი კახა კახიშვილი ამბობს, რომ აუცილებელია რეფორმის ჩატარება და პროკურატურის დაბრუნება აღმასრულებელი ხელისუფლებიდან სასამართლო ხელისუფლებაში. და კიდევ:

„სასამართლო ხელისუფლებაში თუ გადავიდა პროკურატურა, მაშინ ის გახდება უფრო დამოუკიდებელი, პოლიტიკოსების წინაშე არაანგარიშვალდებული. გარდა ამისა, მთავარ პროკურატურას დღეს აქვს ძალიან სერიოზული ამოცანა, რომ სრულყოფილად უპასუხოს ყველა იმ მოქალაქის საჩივარს (ასეთი არის 57 ათასი), რომლებიც შეტანილია პროკურატურაში და ამ მოქალაქეებს დღემდე არ მიუღიათ პასუხი. და, რაც მთავარია, დაიბრუნოს ის საზედამხედველო ფუნქცია, რომელიც მას კანონით აქვს მინიჭებული, მაგრამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში პროკურორების მხრიდან საპროცესო ხელმძღვანელობა ხდებოდა მხოლოდ ფორმალურად“.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი კი, ამბობს, რომ ახალ მთავარ პროკურორს ბევრი მუშაობა მოუწევს სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით:

„პრინციპში, ჩემი კრიტიკა ამ ერთი წლის განმავლობაში ისმოდა მხოლოდ პროკურატურის მიმართ. შესაბამისად, მაქვს მოლოდინი, რომ უფრო საფუძვლიანი და არგუმენტირებული იქნება ყველა ის საქმე, რომელსაც პროკურატურა მიიტანს სასამართლოში“.

საპარლამენტო უმრავლესობაში აცხადებენ, რომ მთავარი პროკურატურა, ისევე როგორც არჩილ კბილაშვილის დროს, თავისუფალი იქნება პოლიტიკური გავლენისაგან. დეპუტატ ირაკლი ჩიქოვანის თქმით, სამართლიანობის აღდგენის მოლოდინმა და საზოგადოების განწყობამ ნეგატიური კვალი არ უნდა დაამჩნიოს გამოძიების ხარისხს:

„პროკურატურისგან მოვითხოვთ: სრული თავისუფლება პოლიტიკური დაკვეთისგან. საზოგადოების დაკვეთა არ შეიძლება იყოს ვინმეს დაჭერა. საზოგადოების დაკვეთა შეიძლება იყოს საქმის გამოძიება და ამის შემდეგ ვინმეს დაჭერა“.

საპარლამენტო ოპოზიციაში კი მიიჩნევენ, რომ მთავარი პროკურორის შეცვლა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა დევნის მორიგ ტალღას დაუდებს სათავეს. ასევე ფიქრობს სააკაშვილის მთავრობაში მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე, დეპუტატი დავით საყვარელიძე:

„ფარცხალაძე დაინიშნა გასაგები მიზეზების გამო: მან უნდა შეასრულოს უპირობოდ ის დავალებები, რომელსაც მას ივანიშვილი და ღარიბაშვილი მისცემენ. ასე რომ, გასაკვირი არ იქნება პოლიტიკური იერიშები მათი მხრიდან. ფარცხალაძე არ არის იქ მისული რეფორმის ჩასატარებლად. ამ მიზნით არ შეურჩევიათ ფინანსური პოლიციის უფროსი და არც მისი ყოფილი სამსახური მეტყველებს ამაზე, მაგრამ მე მაინც იმედს დავიტოვებ, რომ ხელისუფლება მიხვდება, რა არის პროკურატურის მთავარი პრობლემა“, უთხრა დავით საყვარელიძემ რადიო „თავისუფლებას“.

დავით საყვარელიძის თქმით, პროკურატურის მუშაობა თვისებრივად ვერ გაუმჯობესდება მხოლოდ მთავარი პროკურორის შეცვლით. საჭიროა შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით კვალიფიციური კადრების მიზიდვის მუდმივი პროცესის განახლება. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მხოლოდ კვალიფიკაციას. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურატურის თანამშრომელთა სისტემატურ გადამზადებას, რადგანაც კანონმდებლობა ხშირად იცვლება, ისევე როგორც სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისა და გამოძიების ხარისხი.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**

## ◉ ვნებანი „ნდობის ჯგუფის“ გამო

# ირაკლი სესიაშვილმა გივი თარგამაძეს კანონპროექტი „მიუძღვნა“



**თუ 2012 წელს, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები მარიამ საჯაიას გამო განხორციელდა და დეპუტატის ასაკობრივი ზღვარი 21 წლამდე დავიდა, ამჟამად, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა „ნდობის ჯგუფის შესახებ“ კანონში ცვლილებები გივი თარგამაძის გამო მოამზადა.**

**კერძოდ, იმის გამო, რომ მმართველი ძალა „ნდობის ჯგუფის“ წევრად გივი თარგამაძის კანდიდატურას ეწინააღმდეგება, ირაკლი სესიაშვილმა გამოსავალი კანონის კორექტირებაში იპოვა.**

დღეს მოქმედი კანონით, ხუთი წევრისგან შემდგარ „ნდობის ჯგუფში“ ერთი თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეა, ერთი - უმრავლესობის წევრი, ერთი - მაჟორიტარი დეპუტატი, ხოლო ორი - უმცირესობის ან იმ ფრაქციის წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული უმრავლესობაში.

მოქმედი ნორმით, აღნიშნული სუბიექტები „ნდობის ჯგუფში“ ასარჩევ კანდიდატებს დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენენ და უწყება ჯგუფის შემადგენლობას დადგენილებით ამტკიცებს და კენჭისყრა პერსონალურად ტარდება.

სესიაშვილის მიერ მომზადებული პროექტით კი, „ნდობის ჯგუფის“ წევრების დამტკიცება პარლამენტის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარის პრეროგატივა ხდება. კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარე „ნდობის ჯგუფის“ წევრებს, ბიუროსთან შეთანხმებით ცალ-ცალკე ამტკიცებს.

თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ წინადადებით, „ნდობის ჯგუფის“ დაკომპლექტების უფრო მოქნილი მექანიზმის შემოღება ხდება. სესიაშვილისგან განსხვავებით კი, აღნიშნული რეგულაციის შემოღებას მმართველი გუნდი ეწინააღმდეგება, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარე.

დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომ ის იქნება წინააღმდეგი, „ნდობის ჯგუფი“ იყოს არა საკანონმდებლო ორგანოსი, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის.

სპიკერის მსგავსად, სესიაშვილის მიერ მომზადებულ წინადადებას ეწინააღმდეგება უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძეც.

for.ge-სთან საუბარში კანონმდებელი აცხადებს, რომ უმრავლესობა „ნდობის ჯგუფში“ გივი თარგამაძის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს.

„კომპრომისული ვარიანტი, შესაძლოა, ისეთი წინადადება გახდეს, რომ „ნდობის ჯგუფის“ წევრთა შერჩევა მოხდეს არა უმრავლესობის თანხმობით, არამედ უმცირესობამ საკუთარი კანდიდატი თავად აირჩიოს. ანუ, კანდიდატი არ საჭიროებდეს მხარდაჭერას. „ნდობის ჯგუფში“ გივი თარგამაძის შესვლას ხმას არ მივცემ და მხარდაჭერას ვერც სხვას მოვუწოდებ. ეს თემა განხილული იქნება, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ნორმა არ უნდა არსებობდეს“, — აცხადებს საგანელიძე, რომელიც „ნდობის ჯგუფის“ წევრობის კანდიდატია.

for.ge-ს ინფორმაციით, მმართველი გუნდი სესიაშვილის მიერ მომზადებულ პროექტს მხარს არ დაუჭერს. როგორც ჩვენთან საუბარში უმრავლესობის წევრები აცხადებენ, არ აქვს მნიშვნელობა გივი თარგამაძეს მხარს ბიუროზე დაუჭერენ, თუ სესიაზე.

წყაროს ცნობით, „ნდობის ჯგუფის“ შექმნის საკითხი, მმართველ გუნდში უთანხმოების მიზეზი ერთხელ უკვე გახდა. თურმე, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ თანაგუნდელებს მოუწოდა თარგამაძეს მხარი დაუჭირონ, რაზეც მან მტკიცე უარი მიიღო.

„ნდობის ჯგუფი“, რომელიც თავდაცვის კომიტეტის ფარგლებში, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სპეციალური პროგრამებისა და საიდუმლო საქმიანობის საბიუჯეტო კონტროლის მიზნით იქმნება, ამ მოწვევის პარლამენტში ამ დრომდე არ შექმნილა. მიზეზი გივი თარგამაძეა, რომლის მხარდაჭერასაც უმრავლესობა არ აპირებს, უმცირესობა კი — პოზიციის გადახედვას.

ფაქტია, რომ „ნდობის ჯგუფის“ არშექმნით პარლამენტი ზარალდება, მაგრამ როგორც ჩანს, მმართველი გუნდის წევრები გივი თარგამაძის ცნობილ მუქარას — „სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებო“, ვერ ივიწყებენ.



რაც შეეხება თავად თავდაცვის კომიტეტს, როგორც გივი თარგამაძის ხელმძღვანელობის პერიოდში, ასევე ახლაც, ირაკლი სესიაშვილის კომიტეტი პარლამენტის „აქილევსის ქუსლია“. კომიტეტში ხშირად, კვორუმის პრობლემაა და საკომიტეტო საქმიანობას დიდი პასუხისმგებლობით არც დეპუტატები ეკიდებიან.

**თეონა მანაგაძე**



# ამ მთავრობას 9 წელი არ ეყოფა გასარყვნელად

**მთავრობის ახალი ლიდერისა და ქვეყნის ხელმძღვანელის გეგმების პრეზენტაცია დასრულდა. ვიხილეთ შემტევი საპარლამენტო ოპოზიციაც და ვალში არდარჩენილი ახალი პრემიერ-მინისტრიც. ურთიერთჭიდილმა საქმიანი დებატების ადგილი ნაკლებად დატოვა, თუმცა, რამდენიმე ძირითადი გზავნილი — როგორ და რა გზით აპირებს ქვეყნის მართვას პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, მაინც გაისმა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ლოიალურობა ნაციონალთა მიმართ დასრულდა.**

**რა ძირითადი გზავნილები მიიღო საზოგადოებამ ახალი მთავრობისგან, რა მოლოდინები გაჩნდა ხალხში და რა შემთხვევაში იქნება საქართველოს ახალი ხელისუფლება წარმატებული? ამ თემებზე ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო სოსო, მოკლედ რომ შევაფასოთ, მთლიანობაში ირაკლი ღარიბაშვილის საპარლამენტო პრეზენტაციამ როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

— შთაბეჭდილება რჩება, რომ ორდღიანი საპარლამენტო პროცედურა, გარკვეულწილად, შეჯიბრის ხასიათს ატარებდა და ეს შეჯიბრი ორი ტაიმისგან შედგებოდა. პირველი ტაიმი იყო საკმაოდ მძაფრი, ზოგჯერ წესების დარღვევითაც მიმდინარეობდა, მაგრამ ამ უთანასწორო ბრძოლას — თავდამსხმელთა რაოდენობას ვგულისხმობ — წარმატებით გაუმკლავდა ბატონი ღარიბაშვილი. ამ კარგად მომზადებულ ჯგუფს, რომელსაც დიდი ხნით ადრე ჰქონდა დაანონსებული საკუთარი პოზიცია იმის თაობაზე, რომ ისინი არ აპირებენ ახალი მთავრობის მხარდაჭერას პარლამენტში, საკმაოდ დიდი დარტყმა მიაყენა — არაერთხელ შეახსენა წარსული და შედეგები სახელმწიფოს მართვის პროცესში გადადგმული ნაბიჯებიდან გამომდინარე.

მეორე დღე ბევრად აკადემიური იყო, გაისმა კონკრეტული გზავნილები საზოგადოებისთვის. კითხვები იყო უფრო ჩამოყალიბებული, ემოციები ნაკლები, ინფორმაცია — მეტი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად, ამ ორი ტაიმის განმავლობაში ფლობდა რა ინიციატივას, ბატონი ღარიბაშვილი, დარჩა გამარჯვებული არა მხოლოდ შედეგით, არამედ მოლოდინების ოპტიმისტურ ტალღაზე გადაწყობითაც.

**— რამდენიმე ძირითადი თემა იყო, რასაც პარლამენტში გამოსვლისას შეეხო ღარიბაშვილი: ეს არის მართლმსაჯულების სისტემის გაჯანსაღება და მის მიმართ საზოგადოების ნდობის აღდგენა. გარდა ამისა, ირაკლი ღარიბაშვილმა ახსენა რამდენიმე კონკრეტული საქმეც... შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რაკი პროკურატურაში საკადრო ცვლილებებიც დაიწყო, სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რომელსაც ჯერ კიდევ ელის საზოგადოება, მართლაც დაიწყება?**

— ვშიშობ, რომ ამ შემთხვევაშიც მოლოდინი გადააჭარბებს რეალურ შესაძლებლობებს, თუ ასე დავინახავთ ღარიბაშვილის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს. რასაკვირველია, მართლმსაჯულებას სჭირდება ხარისხობრივი ზრდის მოდელის მონახვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის 10-ათასამდე საჩივარი დაიძვრება გამოძიების მიმართულებით.

ჩვენ მართლაც ძალიან დაბალი ნდობა გვაქვს მთლიანად ამ სისტემის მიმართ, ცალკეული ადამიანები ნამდვილად სახელს უტეხდნენ პროკურატურასაც და შინაგან საქმეთა სამინისტროსაც. სამწუხაროა, რომ მიუხედავად დიდი რაოდენობის მოხელეთა გამოცდისა, განსაკუთრებით პოლიციის შემადგენლობაში, სამინისტროში მაინც რჩებიან ადამიანები, რომლებიც არად დაგიდევენ ყალბი დოკუმენტის შექმნას და მერე მასზე კიდევ ექსპერტიზის მოთხოვნას.

ვფიქრობ, არ არის ადგილი დღევანდელ შს სამინისტროში ადამიანისთვის, რომელმაც საკუთარი ხელით შექმნა დოსიე ე.წ. ენვერის საქმესთან დაკავშირებით. არ არის ადგილი არც თუ ცოტა პროკურორისთვის, რომლებიც სინდისის და პროფესიის საწინააღმდეგოდ ბრალს სდებდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს და დღემდე გატრუნულნი არიან. უფრო მეტიც, ისინი ზემოქმედებენ სასამართლოზე, არ იძლევიან სასამართლო პროცესების ჩანიშვნის უფლებას, სადაც არსებობს საშუალება, რომ ბოლომდე გაარკვიონ ჭეშმარიტება.

ამიტომ, ჯერ შინაური პრობლემები უნდა მოაგვაროს ქართულმა მართლმსაჯულებამ, რომ სანდო გახდეს, რათა იმ საქმეების განხილვა მივანდოთ, რომლებიც კარგა ხანია, თაროზე შემოდეს.

**— საზოგადოებაში ასევე აქტუალურია ყოფილი სახელმწიფო ჩინოვნიკების მიერ ჩადენილი დანაშაულების თემა. ამ შემთხვევაში როგორი მოლოდინი უნდა გვქონდეს? დასავლეთის მკვეთრ განცხადებებს მოერიდება ღარიბაშვილი, ივანიშვილის მსგავსად, რომელმაც რამდენჯერმე აღნიშნა კიდეც — ჩვენ კი გვინდოდა, მაგრამ დასავლეთმა უარი გვითხრაო — ამ შემთხვევაში რა გზას აირჩევს ღარიბაშვილი?**

— საქართველომ აირჩია თავისი გზა, როდესაც ბატონი ღარიბაშვილი მიიღო, როგორც ქვეყანაში ყველაზე მეტი უფლებამოსილებით შემკული პირი. პირი, რომელსაც არანაირი პირადი ვალდებულებები არ გააჩნია რომელიმე საზღვარგარეთელი მოკეთის მიმართ. რომელიმე პოლიტიკური ძალის ფავორიტი უცხოური პოლიტიკური წრეებიდან ის არ ყოფილა და ამდენად, მისი ვალდებულებები საქართველოს მოსახლეობის მიმართ ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მისი რომელიმე წინამორბედის.

ამდენად, უნდა ველოდოთ, რომ ასეთი მცდელობა იქნება. ვფიქრობ, სწორი თემაა მიგნებული — დასავლეთში ფინანსურ დარღვევებს ყველა კარგად აცნობიერებს. ვინმემ ვინმეს სილა გააწნა, წაართვა თუ არა რაიმე ქონება, ან უკანონოდ მოათავსა თუ არა ადამიანი ციხეში, ეს მუდმივი მსჯელობის საგანია და ყველა საკუთარი გადმოსახედიდან ამტკიცებს თავის სიმართლეს.

მაგრამ, ფინანსურ მაქინაციებში ყველა კარგად ერკვევა და დასავლეთსაც დიდი გამოცდილება აქვს, რომ კაცისმკვლელებს ხშირად, მხოლოდ, ფინანსური ბრალდების საფუძველზე აპატიმრებდნენ — მიუხედავად იმისა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეს ადამიანები მკვლელები იყვნენ, ამისი დასაბუთება ყოველთვის ჭირდა...

**— თუ კეზერაშვილის საქმეს გავიხსენებთ, რომელიც ევროპაში დააპატიმრეს, ეს იქნება პრეცედენტი იმისათვის, რომ დასავლეთი დიდი უნდობლობით არ არის განწყობილი, თუკი ფინანსურ მაქინაციებში ჩართული აღმოჩნდებიან საakaშვილის სხვა ჩინოვნიკებიც?**

— ეს დიდად იქნება დამოკიდებული თავად კეზერაშვილის მეხსიერების უნარზე. თუ ის აღმოჩნდა გულმავიწყი, მაშინ ჭეშმარიტების ძიებისკენ მიმავალი გზა გაგრძელდება, ხოლო თუ მან მოიხმო მეხსიერება და ცოტა სინდისიც, ითანამშრომლა გამოძიებასთან, მაშინ უფრო მკაფიო და დამაჯერებელი იქნება ყველა ფაქტი, რომელიც მარტივად გადამოწმდება.

**— რაც შეეხება ეკონომიკას, რომელიც დღეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ახალი მთავრობის წარდგენისას თუ გაგიჩნდათ განცდა, რომ მათ მართლაც აქვთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეალური ხედვა?**

— ჯერ ერთი, სრულიად მკაფიოდ უნდა ვეცადოთ, რომ საბოლოოდ დაესვას წერტილი ორხელისუფლებიანობას. მთავარი მოქმედი პირი ამ მუდმივად მავნებელი მოვლენისა, რასაც ჰქვია ორხელისუფლებიანობა, გაქრა პოლიტიკური მოედნიდან და მისი აქტივისტები, რომელთა დიდი ნაწილი უკვე პარლამენტარების სტატუსით არიან შემოსილნი. რასაკვირველია, შეეცდებიან, გარკვეული გავლენა შეინარჩუნონ ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა დონეზე, გარკვეულ ბიზნესწრეებზეც და ეს უნდა იყოს აღკვეთილი ძალიან მალე.

სხვა მხრივ, ჩვენ ვიქნებით კიდევ უფრო უარესი, არა გაცხადებული, არამედ ფარული კოჰაბიტაციის პროცესში, რომელიც უფრო მავნებელი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე გასული წლის ყბადაღებული კოჰაბიტაციის პერიოდი.

**— გარკვეულ ბიზნესმოძრაობებზე არის საუბრები, ითქვა, რომ ბიზნესების გადაბარებები ხდება ფარულად და ა.შ. თუმცა, წილების წართმევის შესახებ ჯერ არ გვსმენია. თქვენ რა ტენდენციას ხედავთ?**

— ვერ გეტყვით, რომ რაიმე გამოცდილება მაქვს ბიზნესურთიერთობებში, ეს სატრაბახო არ არის, რეალობაა — მაგრამ ჩანაცვლება — შეიძლება, თეორიული საფუძველი ამ ტერმინის გამოყენებისა, გახდეს ის, რომ ელიტური კორუფცია აღარ არსებობს, მაგრამ ფასები არ გაიაფებულა იმ კომპონენტებზე, რომლის ირგვლივაც მუდმივად ისმოდა ბობოქრობა ამ ელიტური კორუფციის შესახებ საუბრისას.

არ გვაქვს მონაცემები, რამდენ სუბიექტს შემოჰქონდა ნავთობპროდუქტები 2011-2012 წლებში, გაიზარდა თუ არა, ან რა დაემართა ამ ციფრს 2013 წლის განმავლობაში, ანუ რაიმე ძვრა მოხდა თუ არა ანტიმონოპოლიური ქმედებების მიმართ. თუმცა, ფასები პოზიტიური დასკვნის გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს. უფრო მეტიც, კიდევ ჩნდება კითხვა, რატომ გაიარა 2013-მა წელმა ისე, რომ პარლამენტმა ვერ მოასწრო დიდი ხნის წინ მომზადებული ანტიმონოპოლიური კანონის ძალაში შეყვანა?

**— როდესაც ბიძინა ივანიშვილმა მიიღო პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილება, მისი მიზანი მხოლოდ მიშას და მისი პოლიტიკური გუნდის გაცილება არ იქნებოდა, მათთან ერთად ის მანკიერებებიც უნდა მოისპოს, რაც მათ მმართველობას ახლდა. თუმცა, არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლების ცვლას მხოლოდ გვარების ჩანაცვლებად აფასებს...**

— ივანიშვილი ნამდვილად არ შემოფარგლულა ერთი გვარის ხალხის მეორე გვარით შეცვლით — გვარი ამ ადამიანების ყველაზე უმნიშვნელო მახასიათებელი შეიძლება იყოს. ზურაბ ადეიშვილს და თეა წულუკიანს გვარები კი არ განასხვავებს ერთმანეთისგან, არამედ ცხოვრების წესი, ფასეულობათა მთელი სისტემა — სიკეთესა და ბოროტებას შორის არსებული განსხვავება წარმოაჩენს. სხვა გვარებსაც რომ ჩამოვყვე, იგივე შედარებების გაკეთება მომიწევს...

**ზურაბ ადეიშვილს და თეა წულუკიანს გვარები კი არ განასხვავებს ერთმანეთისგან, არამედ ცხოვრების წესი, ფასეულობათა მთელი სისტემა — სიკეთესა და ბოროტებას შორის არსებული განსხვავება წარმოაჩენს. სხვა გვარებსაც რომ ჩამოვყვე, იგივე შედარებების გაკეთება მომიწევს...**

**— თქვენი შეფასებით, დღეს საზოგადოებას აქვს ბერკეტები, ხელისუფლება ელიტური თუ ჩვეულებრივი კორუფციისკენ გადახრის შემთხვევაში დროულად გამოაფხიზლოს და არ დაუშვას, განმეორდეს ის, რაც უკვე გავიარეთ?**

— სამოქალაქო საზოგადოებას გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველი იმ მხრივაც შეიძლება ჰქონდეს, რომ ახლა მათი გადასახედიდან დააკვირდება სიტუაციას ბატონი ივანიშვილი — არ იქნება მისთვის მარტივი, რომ საკუთარი რჩეულებისგან შემდგარი გუნდი აკრიტიკოს, მაშინ, როდესაც მას შეეძლო შენიშვნების მიცემა და მათი გამოსწორების მცდელობის ბერკეტებიც გააჩნდა. მაგრამ, ამ სირთულეს, დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი დაძლევს, რადგან ობიექტურობა მისი მისწრაფება გახლავთ.

ამასთან, სამოქალაქო საზოგადოება კიდევ უფრო მეტი ყურადღებით უნდა იყოს ჩაკირკიტებული ყველა იმ საფრთხის მიმართ, რომელიც ახასიათებდა წინა წლებში სავაჭრო-ეკონომიკურ-ფინანსურ სფეროს. რასაკვირველია, თქმა იმისა, რომ ყველას გაუქრა უკანონო შემოსავლების მადა, არ იქნება მართებული. მხოლოდ საზოგადოება, თავისი აქტიურობით შეძლებს არა მხოლოდ გამოვლენასა და შერცხვენას ვინმესას, არამედ საკუთარი ფასეულობების ამაღლების და მათი დამკვიდრების შანსიც უჩნდება. მისი ვალია, რომ უკანონო ქმედება სირცხვილად ითვლებოდეს ქვეყანაში, რომ უკანონო შემოსავლების ხარჯზე გამდიდრებული და გალაღებული დაცინვის ღირსი იყოს და არა მიბაძვისა.

თუ ასეთი მენტალური ცვლილებები არ დაიწყო ქვეყანაში, გაჭირდება იმ პოლიტიკური ნების გამომჟღავნება პოლიტიკოსების მხრიდან და უფრო მეტი საფრთხე შეიქმნება იმ არამზადათაგან, რომელთაც ცხოვრების წესად აქვთ სხვის ჯიბეში ხელის ფათური.

სამოქალაქო საზოგადოების ვალია, მისი მოდარაჯის ფუნქცია გახადოს უფრო აქტიური. ჩვენ უკვე არაერთხელ გავიარეთ პროცედურები, რომ ახლადარჩეულ პრეზიდენტთან თუ პრემიერთან „მოდი დავაცადოს“ რეჟიმით ვიწყებთ ურთიერთობას, მერე ეს რეჟიმი თავად იხანგრძლივებს საკუთარ თავს და შემდეგ უკვე თავისთავად მივდივართ ნაკლებად მიმზიდველ შედეგებამდე.

ამას თავადაც გრძნობენ დღევანდელი უმაღლესი ეშელონის პირები, რადგან მათი უმრავლესობა ან ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წიაღში ყალიბდებოდა პოლიტიკოსად, ან აქტიურ საზოგადოებრივ სექტორში. ამიტომ, ამისი გაუცნობიერებლობა არც მათი მხრიდან მოხდება.

ამიტომ, ვფიქრობ, უფრო მარტივი იქნება, რომ ადრეულ ასაკში გამოითქვას ხმამაღალი პროტესტი საზოგადოების მხრიდან და, ამავე დროს, გაფრთხილება უმაღლესი თანამდებობის პირებისა, იმის თაობაზე, რომ ფავორიტობა ამა თუ იმ პირის, ვნებს როგორც ფავორიტს, ისე მის შემქმნელსაც.

**— ანუ, რაც არ უნდა ცუდი სცენარი წარმოვიდგინოთ, ეს ხელისუფლება „ვერ მივა“ ნაცმოძრაობამდე?**

— ყოველ შემთხვევაში, 9 წელი გარყვნისთვის ამ შემადგენლობას არ ეყოფა და ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ იმ პირობებში, თუ მთელი საზოგადოება იქნება აღტაცებული და ყველა ჩაერთვება კორუფციაში, ერთმანეთის გაუტანლობაში და დავბრუნდებით ათეულობით წლების უკან, სადაც ადამიანი ადამიანის მიმართ, მგლად ჩამოყალიბდა, სოციალიზმის პირობებშიც კი.

**— ეკონომიკასთან ერთად ინვესტიციები არის დღეს ქვეყნის სუსტი წერტილი, თუმცა, როგორც ღარიბაშვილი ამბობს, როდესაც ქვეყანაში მთავარი ოპოზიციონერი პრეზიდენტია, როგორ შეიძლება დაარწმუნო ინვესტორი, რომ ქვეყანაში სტაბილურობაა. დღეს არის სტაბილურობის განცდა? რამ უნდა მოიზიდოს ინვესტორი საქართველოში?**

— ამ გამონათქვამს, მოდით დავარქვათ ღარიბაშვილის ფორმულა, რადგან სრულიად ღრმა და ყოვლისმომცველი შინაარსი აქვს ამ ფრაზას. პირველი ოპოზიციონერი კიდევ „კომპლიმენტი“ იქნებოდა სააკაშვილისთვის, რადგან ის მთავარი მავნებელი იყო ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით, მთელი 2013 წლის მანძილზე — ნებისმიერი გამონათქვამი პრემიერ-მინისტრისა, ნახევარ საათში ყველა ევროპარლამენტარს საკუთარ კომპიუტერში შეეძლო მოეძიებინა, თანაც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ნათარგმნი და კომენტირებული.

დისკრედიტაციის ბევრი მცდელობა წარმატებით დამთავრდა და დღესაც ბევრ ჩვენს მეგობარს დასავლეთში მიაჩნია, რომ მათ მიერ აღიარებული ფავორიტი, განუმეორებელი დემოკრატი, შემოქმედი, პატიოსნების სიმბოლო სააკაშვილი უსამართლოდ არის გაკიცხული საქართველოს მოსახლეობის მხრიდან.

ეს არის, ვფიქრობ, უპირველესად, ქართული დიპლომატიის მარცხი და არასაკმარისი ძალისხმევა იმავე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა...

ესაუბრა
**ლალი ზირაქიშვილი**



# ირაკლი ღარიბაშვილის მადლობა წინამორბედს და დაპირება ქართველ ხალხს

**საქართველოს პარლამენტმა მთავრობის კაბინეტი 93 მომხრე ხმით 19-ის წინააღმდეგ დაამტკიცა. პრემიერ-მინისტრის პოსტს ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალურად მას შემდეგ დაიკავებს, რაც მას თანამდებობაზე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი დაამტკიცებს.**

**პრემიერ-მინისტრი წინამორბედს ბიძინა ივანიშვილს ნდობისთვის მადლობას უხდის, ქართველ ხალხს კი ჰპირდება, რომ ქვეყნის სამსახურში იქნება.**

**საპარლამენტო უმცირესობას მთავრობის დაპირებების არ სჯერა, უმრავლესობა კი, აღმასრულებელ ხელისუფლებას მოუწოდებს, ნდობის მანდატი გაამართლოს.**

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის პროგნოზით, წინ შრომის ძალიან დაძაბული სამი წელიწადია, რომელიც ქართველმა ხალხმა ხელისუფლებას განუსაზღვრა.

**„ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დღეა, რადგან გარკვეულ დონეზე, პოლიტიკური ციკლი დასრულდა, რომელიც 1 ოქტომბრის შემდეგ დაიწყო. საქართველოს მოსახლეობას ვუსურვებ, რომ მათთვის ყოველი წელი, წარმატებების წელი იყოს“,** — განაცხადა სპიკერმა.

მთავრობა საკანონმდებლო ორგანოს ნდობას გაამართლებს თუ არა, ამას დრო აჩვენებს, მაგრამ პრემიერ-მინისტრი პირობას დებს, რომ საქართველოს „ხელშეუხებელი მინისტრები“ არ ეყოლება.

**„ჩვენმა გუნდმა, ის მავნე ტრადიცია დაამსხვრია, როდესაც მთავრობას გამორჩეული და ხელშეუხებელი მინისტრები ჰყავდა“,** — ამბობს ღარიბაშვილი, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს კოალიციის ერთობის შენარჩუნების პირობაც მისცა.

**„ბატონო ბიძინა, გამოცხადებული ნდობისთვის დიდი მადლობა. დიდი მადლობა, რომ ის დიდი ნდობა, რომელიც ქართველმა ხალხმა თქვენ გამოგიცხადათ, ჩვენ გვანდეთ. მინდა, ისიც გითხრათ გულით, და არა გონებით, რომ თქვენ ყოველთვის იყავით ჩემთვის სამაგალითო და ყოველთვის დარჩებით სამაგალითოდ. ასევე გპირდებით, რომ იმ მტკიცე ერთობას, რაც თქვენ კოალიციის სახით შექმენით, ასეთივე სიმტკიცით შევინარჩუნებთ“,** — განაცხადა პარლამენტის ტრიბუნიდან ღარიბაშვილმა, რომელმაც უმცირესობის კრიტიკული კითხვების საპასუხოდ, ეკონომიკურ საკითხებზეც ისაუბრა.

პრემიერ-მინისტრმა ნაციონალებს მოუწოდა, ინვესტორებს ნუ დააფრთხობენ, რომ, თითქოს, საქართველოში ცუდი ვითარებაა.

**„როცა პრეზიდენტი ქვეყნის მთავარი ოპოზიციონერი იყო, როგორ გგონიათ, ინვესტორების დარწმუნება როგორ უნდა მომხდარიყო?! რეალური ინვესტიციების განხორციელება მოხდება, რადგან რამდენიმემილიონიანი ინვესტიციების დაბანდება იგეგმება. სასწაულებს ვერ მოვახდენთ, გარკვეული დაღმასვლაც იყო, მაგრამ ბოლო ორი თვის განმავლობაში, ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესი ჩანს. მოგიწოდებთ, ინვესტორებს ნუ დააფრთხობთ და ისეთ სიტუაციას ნუ წარმოაჩენთ, რომ ქვეყანაში ცუდი პროცესია. გაცილებით ცუდი ვითარება ომის შემდგომ იყო, როდესაც საგარეო ვალს იღებდით“,** — მიმართა უმცირესობას ღარიბაშვილმა, რომელმაც ერთ-ერთი კომპანიის გადაწყვეტილებაზეც ისაუბრა, რომელიც მისი ინფორმაციით, ქვეყნიდან გასვლას აპირებდა.

ღარიბაშვილის ცნობით, რამდენიმე დღეში, განცხადებას გააკეთებს ერთ-ერთი კომპანია, რომელიც საქართველოდან გასვლას იმის გამო აპირებდა, რომ ქვეყანაში საინვესტიციო გარემო არ იყო.

**„საქართველოში ამ კომპანიას, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში ძალიან დაზარალდა, დაახლოებით 200-300 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჰქონდა შემოტანილი, ამ კომპანიას ყველა ის პრობლემა მოვუგვარეთ, რაც თქვენ შეუქმენით“,** — მიმართა ნაციონალებს პრემიერმა, რომლის ინფორმაციითაც, წინა მთავრობას 30-მდე ქვეყანასთან ჰქონდათ შეჩერებული ინვესტიციების დაცვის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება, ვინაიდან საკუთრების უფლების დარღვევის უამრავი შემთხვევა არსებობდა.

მისი შეფასებით, ინვესტორებს საქართველოში შემოსვლის ეშინოდათ.

მთავრობის ხელმძღვანელმა უცხოეთში მოღვაწე ქართველების დაბრუნების პროცესზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველების თემა ძალიან სენსიტიურია.

**„როგორც ბიძინამ ბრძანა, თითოეული ქართველი ჩვენთვის ძვირფასია. გეგმები გვაქვს, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველების დაბრუნების პროცესი დავაჩქაროთ“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა, რომელმაც, ამავდროულად, აღნიშნა, რომ საქართველო სავიზო რეჟიმს გადახედავს.

ალსანიშნავია, რომ ნაციონალებისთვის პრემიერ-მინისტრის მიერ დადებული პირობები და მის მიერ წარდგენილი სამთავრობო პროგრამა სარწმუნო არ აღმოჩნდა, რის გამოც, მათ მთავრობას მხარი არ დაუჭირეს.

კონკრეტულად, თუ რა პრეტენზიები აქვთ ოპოზიციონერებს, ამის გარკვევას for.ge უმცირესობის ლიდერებთან შეეცადა.

**„სამწუხაროდ, ეს სამთავრობო პროგრამა რეალობას ვერ ასახავს. სამწუხაროდ, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ქვეყნის ეკონომიკა გაჩერდა. მთავრობას წარმოდგენილი არ აქვს გეგმა, თუ როგორ აპირებს ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას. მათი სამთავრობო პროგრამა კარგად გაწერილი სიტყვათა წყობაა, რომლის უკანაც არაფერია. ვეცადეთ, პრემიერის წინაშე კონკრეტული წინადადებები დაგვეყენებინა, მაგრამ მათი მხრიდან ისმის ბრალდება, თუ როგორ ვანგრევდით ეკონომიკას. მართალი გითხრათ, ასეთი რიტორიკა მთავრობას არ გამოადგება და ეს პროგრამაც ვერ შესრულდება“,** — განუცხადა for.ge-ს მიხეილ მაჭავარიანმა, რომლის პათოსსაც დავით საყვარელიძე და აკაკი მინაშვილი იზიარებენ.

საყვარელიძე აცხადებს, რომ სამწუხაროდ, ეს არის პირველი მთავრობა, რომელმაც ცხრა წლის მანძილზე, შემცირებული და, ფაქტობრივად, სეკვესტრირებული ბიუჯეტი წარადგინა.

**„რაც არ უნდა იძახონ, რომ ეკონომიკას ვანგრევდით, ყველამ იცის, რომ ეს აბსურდია. საქართველოს ასეთი მთავრობა არ უნდა ჰყავდეს. მათი მიდგომა საქმიანი და კონსტრუქციული არ იყო. იმის ნაცვლად, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამოსწორებაზე გვემსჯელა, მათი რიტორიკა იყო აგრესიული და კონფრონტაციაზე ორიენტირებული, რაც ამომრჩეველს ნამდვილად არ მოეწონებოდა“,** — განუცხადა for.ge-ს საყვარელიძემ.

აკაკი მინაშვილი კი ყურადღებას პრემიერ-მინისტრის უნარ-ჩვევებზე ამახვილებს.

მისი აზრით, პრემიერ-მინისტრს ეკონომიკაში არაფერი ესმის.

**„ამ მთავრობამ, ერთი წლის განმავლობაში, ეკონომიკის 6-პროცენტიანი ზრდის 2 პროცენტამდე შემცირება მოახერხა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პირველად მოხდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს 600 მლნლარიანი გარღვევა აქვს. მთავრობამ ის მოახერხა, რომ შემოსავლები შემცირდა და ეკონომიკა სტაგნაციაშია. ამასთან, გამოიკვეთა, რომ პრემიერ-მინისტრს არანაირი გამოცდილება არ აქვს, მას ეკონომიკის თაობაზე არანაირი ცოდნა არ აქვს. მეორეს მხრივ, ამ ადამიანების მცდელობაა, პოლიტიკური ზეწოლა განახორციელონ ოპონენტებზე და ამით გავლენა მოიპოვონ. ამას გარდა, ახალ მთავრობას იმის უნარი არ აქვს, რომ კრიტიკული მოსაზრება მოისმინონ“,** — განუცხადა for.ge-ს მინაშვილმა.

ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ წინა ხელისუფლების დროს, ეკონომიკა ერთი კაბინეტიდან მართული იყო, ბიზნესი კი დატერორებული.

**„ნაციონალების შეშფოთება არაგულწრფელია, რადგან ახლა იმას ვიმკით, რაც მათ დათესეს. მათი ხელისუფლების დროს, ეკონომიკა მართული იყო ერთი კაბინეტიდან, ბიზნესი კი დატერორებული. საქართველოს ეკონომიკა ნაციონალური შოკიდან გამოვა და ის დაემყარება არა რომელიმე კაბინეტში მიღებულ გადაწყვეტილებებს, არამედ რეალურ მაჩვენებლებს“,** — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა, რომლის მსგავსადაც ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, რომ საქართველოში ეკონომიკური ვარდნა 2012 წლის ივნისიდან დაიწყო.

მისი განმარტებით, მიმდინარე წლის ოქტომბრის ეკონომიკურ მონაცემებს, გასული წლის ოქტომბრის მონაცემებთან შედარებით, 6-პროცენტიანი ზრდა აქვს.

**„ანუ ზრდის ტენდენცია დაიწყო და ეს პროცესი, გაგრძელდება. რაც შეეხება ეკონომიკურ ვარდნას, მავანნი როცა გვისაყვედურებენ, ის მონაცემებიც უნდა გაითვალისწინონ, რომელიც აზერბაიჯანში, სომხეთსა და თურქეთშია. ამ ქვეყნებში, ეკონომიკური ზრდის დაგეგმილი საპროგნოზო მაჩვენებელი სათანადოდ ვერ შესრულდა. ეს საერთო სენია. ამას გარდა, ვეტოდადებული კანონები და ორაზროვანი პიარიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოვიდნენ „მნგრეველები“ და ა.შ. ეს რიტორიკა ინვესტორებს აფერხებდა“,** — აღნიშნა ტყემალაძემ.

თანაგუნდელების მსგავსად, ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე მიიჩნევს, რომ ოპოზიციის კრიტიკა უსაფუძვლოა.

**„ცხრაწლიან მმართველობაზე ყურადღებას იმის გამო ვამახვილებთ, რომ ისინი საკუთარ შეცდომებს ახალ მთავრობას აბრალებენ. სამთავრობო პროგრამა ოპტიმისტურია, რომელიც შესრულებადია. ამ მთავრობას იმის პასუხისმგებლობა აქვს, რომ ეს პროგრამა შეასრულოს“,** — განუცხადა for.ge-ს კობახიძემ.

მთავრობის კაბინეტის თაობაზე პარლამენტი იმ დღეს ცხრა საათის განმავლობაში მსჯელობდა. რაც შეეხება 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც ნაციონალების კრიტიკას იმსახურებს, მთავრობიდან პარლამენტში ნოემბრის ბოლოს დაბრუნდება.

**თეონა მანაგაძე**

## კაკალ გულში

● ვისაც ევროკავშირზე და ევროსტრუქტურებზე ოდნავი წარმოდგენა მაინც გაქვთ, მითხარით თუ ღმერთი გწამთ, ვინმეს გგონიათ, რომ ამ ფურთხით შეკოწიწებულ „აღმოსავლეთ პარტნიორობას“ პერსპექტივა აქვს?

● ახლა პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს ჯერ პრემიერი, მერე გენპროკური და შსს მერე იქ უნდა წავიდეს კადრების „გადანაცვლება“, მერე იმ ძველი კადრების გამოძიებული საქმეების ხელახლა გამოძიება, მერე... მერე... და ვარდენის არ იყოს, ქე შეგვრჩა ეს უძიპლომო ნაცმოძი.

● ბიძომ, მე არ ვიკადრებ, რომ დავდგე და მთავრობა კულუარებიდან ვმართოო (ჯიგარ!). მიმიშვით, ჯანდაბას, მე ვიკადრებ.

● სანამ საქართველო დამოუკიდებელი არ გახდება რეალურად, იქამდე თავისუფლების მოედანს ლენინის მოედანი ჰქვია!

● დავით უსუფაშვილი ერის გაერთიანებას „მართლებისა და მტყუანების“ გაერთიანებში ხედავს... წიგნიერი გონებაშეზღუდულობა თუ...?

● 7 მიზეზი, თუ რატომ დაიწყო სააკაშვილმა ომი 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალში:

1. იმიტომ, რომ მსოფლიოსაგან 5 მილიარდი დახმარება მიეღო;
2. იმიტომ, რომ შემოტანილი ჰქონდა უვარგისი იარაღი და საბრძოლო მასალა იაფად და ომში დანაკარგის შედეგად მისი რაოდენობა და ფასი „გაპრავდებოდა“;
3. იმიტომ, რომ რაც ყველაზე ხარისხიანი იარაღია: „იგლა“, „სტრელა“და სხვა, ისენიც მესამე ქვეყნებში ჰქონდა გაყიდული და ომში „გაპრავდებოდა“;
4. იმიტომ, რომ იმ დროს დაწყებული იყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ხალხის გამოსვლების შიშით მან ყურადღება ომზე გადაიტანა;
5. იმიტომ, რომ რუსეთისაგან გარანტია ჰქონდა მიღებული თბილისში არშემოსვლაზე, აფხაზეთის(კოდორით) და ოსეთის(ახალგორით) დათმობის სანაცვლოდ;
6. იმიტომ, რომ უფრო ადვილად გაეწეწა ხალხი, ვითომ სამშობლოსათვის დახმარების მიზნით;
7. იმიტომ, რომ მსოფლიოს ყურადღება მიექცია, როგორც ბოროტებასთან მებრძოლ ადამიანს.

## წერტილოვანი ფრაზები

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**



# „დემოკრატია“ ქართულად

**მას შემდეგ, რაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს, რუსეთმა დამოუკიდებლობა უბოძა, გახშირდა სიტყვა „დემოკრატიის“ ხსენება. ამ სიტყვამ განსაკუთრებული მნიშვნელობა 1995 წელს შეიძინა — ახალი კონსტიტუციის მიღების, პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევის შემდეგ.**

ქართულმა პოლიტიკამ, უკვე დასავლეთისკენ გადახრილმა, დასავლელ ექსპერტთა და ზედამხედველთა სურვილისამებრ გააქტიურა დამოკიდებულება სიტყვა „დემოკრატიისადმი“, მაგრამ ამით არაფერი დაატყო სიტყვის შესაფერის საქმეს.

გადიოდა დრო — საქართველოს წიაღში აღმოცენებული „დემოკრატია“ ქართულ სპეციფიკას იძენდა. საზოგადოება, „დემოკრატიის“ ძალის, მით უმეტეს შინაარსის უხილაობაში იმედგაცრუებული, აშკარად კარგავდა მისდამი ინტერესს. „დემოკრატია“ ახალ განზომილებაში გადადიოდა, რომელიც უფრო მეტად ღიმილს იწვევდა, ვიდრე პოზიტიურ დამოკიდებულებას.

ბოლოს და ბოლოს, მან სახუმარო თვისებაც შეიძინა, განსაკუთრებით სააკაშვილის ათწლიანი მმართველობის დროს. სიტყვა „დემოკრატიის“ გაუფასურებას არა მარტო სააკაშვილისა და ნაცების ანტიდემოკრატიულმა მმართველობამ შეუწყო ხელი, არამედ მათი დასავლელი მასწავლებლების ქცევამაც.

დადებითის მოლოდინი არ უნდა გვქონდა, ვინაიდან საქართველოში ჩამოყალიბებული ტოტალიტარული მმართველობის, „დემოკრატიის“ ტანსაცმელში გამოწყობა ვერ შეცვლიდა ვითარებას. ქართველი საზოგადოება დარწმუნდა, რომ, როდესაც სიტყვა „დემოკრატიას“ ახსენებენ, არადემოკრატიულობას ნიშნავს.

სამწუხაროდ, შინაური და გარეული პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეთა მეცადინეობით, სიტყვა „დემოკრატიისადმი“ გულითადი დამოკიდებულება, ეჭვმა და ქილიკმა შეცვალა, რაც იმის მომასწავებელია, რომ რეაბილიტაციას მრავალი წელიწადი დასჭირდება.

ჭირს იმის გაგება, როდის შეძლებს სიტყვა „დემოკრატია“ ჭეშმარიტი მნიშვნელობის დაბრუნებას, ვინაიდან მას არა მარტო საქართველოში უჭირს, არამედ საქართველოს ისეთ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანაშიც, რომელიც გასულ და მიმდინარე საუკუნეებში „დემოკრატიის“ აკვნად ითვლება.

სიტყვა „დემოკრატიის“ შინაარსის თავისებური გაგება არსებობს საქართველოს ახალ ხელისუფლებაშიც. ერთი წელიწადია, გვესმის ეს სიტყვა ყველა კონტექსტში, განსაკუთრებით არჩევნებთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო ართულებს მისი ნამდვილი მნიშვნელობის აღქმას.

**დიახ! 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა წერტილი დაუსვა ნაციონალთა პარპაშს. მაგრამ, რამდენად მიესადაგება მას სიტყვა „დემოკრატიული“? არჩევნები რომ დემოკრატიულად ჩატარებულიყო, ვიხილავდით ესოდენ დიდი რაოდენობის ნაცებს პარლამენტში?**

დემოკრატიული არჩევნები, არა მარტო არჩევნების დღით განისაზღვრება, არამედ წინასაარჩევნო მარათონითაც. სამწუხაროდ, ძნელად მოიძებნება პირი, რომელიც წინასაარჩევნო მარათონს დემოკრატიულს უწოდებს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები არათუ დემოკრატიულად, არჩევნებადაც არ ჩაითვლება. ის იყო თავდადებული ბრძოლა ბოროტის, არადემოკრატიულის დასამარცხებლად — ერთი გმირის მხარში ამოდგომით.

განვლილი წელიწადი უხვი „დემოკრატიით“ იყო გაჯერებული, განსაკუთრებით ისეთით, როგორიც „კოჰაბიტაციაა“. ხელისუფლება-ოპოზიციის ერთწლიანი საპარლამენტო კინკლაობაც უფრო დემოკრატიის იმიტაცია იყო, ვიდრე დემოკრატია.

დემოკრატიის იმიტაციად შეიძლება ჩავთვალოთ საპრეზიდენტო არჩევნებიც. მიუხედავად პრეზიდენტობის კანდიდატების უხვი რაოდენობისა, რეალური, სამზე მეტს არ მოიცავდა და ამ სამში, თავიდანვე იყო ცნობილი, ვინ რომელ ადგილს დაიკავებდა.

დემოკრატიულად ვერ მოინათლება არჩევნები, სადაც ყოვლისშემძლე მილიარდერის კანდიდატი, პოლიტიკაში გამოუცდელი და ამომრჩევლისთვის სრულიად უცნობი, პირველსავე ტურში ამარცხებს მოწინააღმდეგეებს და ხმათა 60%-ზე მეტს აგროვებს. არის თუ არა ამჟამინდელი პრეზიდენტის მიერ, ივანიშვილის ხათრით მოპოვებული გამარჯვება დემოკრატიული?

ეს კითხვა მომავალშიც არაერთხელ დაისმება, თუმცა, ვეჭვობ, „დემოკრატიული“, უფრო სწორად, გულწრფელი პასუხი გაეცეს.

ყოფილი პრეზიდენტის ვულფის სასამართლო პროცესი. მას კორუფციაში სდებდნენ ბრალს — ანუ 700 ევროზე ოდნავ მეტი თანხის მიღებაში. სააკაშვილი, სხვისთვის „შეწერილ“ ამ რაოდენობის თანხას უბრალო საუზმეზე ხარჯავდა.

მოდით, სხვაგვარად დავსვათ კითხვა — **არის თუ არა ქვეყანა დემოკრატიული, სადაც ხელისუფლება ქვეყნისა და ხალხის ფულს იჯიბავს, მაგრამ დაუსჯელი რჩება?!**

ოც წელიწადზე მეტია, გავყვირით „დემოკრატიას“, მაგრამ ვერაფრით მო-



მთლად დემოკრატიულად არც პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შერჩევა და პარლამენტის მიერ მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება ჩაითვლება.

ერთი კაცის მიერ შერჩეული პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი იწყებს მუშაობას. წინ ფათერაკებით აღსავსე საშინაო და საგარეო ცხოვრებაა, რის დროს „დემოკრატიული“ დასავლეთი არაერთხელ შეახსენებს ხელისუფლებას დემოკრატიული „ფასეულობების“ თაობაზე და ამ ფასეულობებში ყველაზე დიდი „განძის“ — ნაცმოძრაობის თვალისჩინივით გაფრთხილებას.

**ნორმალურ საზოგადოებაში, მით უმეტეს ქვეყანაში, კრიმინალის დაცვა დემოკრატიად არ უნდა ითვლებოდეს. პირიქით, დამნაშავემ მთელი სერიოზულობით უნდა აგოს პასუხი. „აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი“ რომ ქურდია, საუკუნეთა განმავლობაშია ცნობილი. ის, რომ ქურდი უნდა დაისაჯოს, არც ეს იწვევს დავას. ქურდის, კრიმინალის მიტევება, სულაც არ არის დემოკრატია. გარდა ამისა, ესოდენი „დიდსულოვნება“ რომ შემწყნარებლების მიმართ საეჭვო კითხვებს ბადებს, ფაქტია.**

დემოკრატიას ნამდვილად ვერ დავარქმევთ აქლემის ქურდობას. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე „დემოკრატმა“ აქლემის ქურდებმა უდიდესი რაოდენობის სახელმწიფო ფული, სიმდიდრე მიითვისეს, მაგრამ დაუსჯელად დანავარდობენ. უფრო მეტიც, ისე გამომწვევად იქცევიან პარლამენტში, გეგონებათ მამა აბრამის ბატკნები იყვნენ. სახელმწიფო ქონების განიავების გარდა, მათ არაერთი მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი და ვიდრე ყველაფერზე პასუხს არ აგებენ, არავითარ დემოკრატიაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

სულ ახლახან გაიმართა გერმანიის

ვაგვარეთ ერთი პრეზიდენტის მიერ მეორისთვის ძალაუფლების გადაცემა. პირველი პრეზიდენტი გაურკვეველ ვითარებაში გამოესალმა სიცოცხლეს. მეორე ჩამოაგდეს და ისე გაუშვეს სახლში, არცკი გახსენებიათ მისი ინაუგურაციაზე მიწვევა.

სააკაშვილის ორ ინაუგურაციას არ ესწრებოდა ყოფილი პრეზიდენტი და არათუ არ ესწრებოდა, სააკაშვილის სურვილით ციხის საკანში იქნებოდა, რომ არა მისი მფარველი ამერიკელები. შევარდნაძის დანაშაულებრივი საქმიანობა მარტო სააკაშვილის სურვილებს არ ეფუძნებოდა, მას სერიოზული საფუძველი ჰქონდა, რომელიც თავისთავად გულისხმობდა მისდამი სამართლიან, დემოკრატიულ მიდგომას - მაგრამ არა, ქვეყანა მხოლოდ სიტყვა „დემოკრატიით“ შემოიფარგლა.

როგორც ჩანს, დასავლელთა და „ოცნებელთა“ ძალისხმევით მანკიერი ტრადიცია ახალი პრეზიდენტის მმართველობის დროსაც გაგრძელდება. ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას არ დაესწრო წინამორბედი. შეშინებულმა უცხოეთს შეაფარა თავი. მის შიშს აქვს საფუძველი — 10-წლიანი ნეგატიური მმართველობა ამის დასტურია.

არის თუ არა ქვეყანა დემოკრატიული, მით უმეტეს „დემოკრატიის შუქურა“, როდესაც ყოფილი პრეზიდენტები ინაუგურაციას არ ესწრებიან? ან საპარლამენტო ოპოზიცია კატეგორიულ უარს აცხადებს ინაუგურაციაში მონაწილეობაზე? როგორც ჩანს, მთლად გამართულ „დემოკრატიასთან“ არ უნდა გვქონდეს საქმე.

ამჟამინდელი ნაცური ოპოზიცია არ დაესწრო ინაუგურაციას, თუმცა ის, არდასწრებაში ნოვატორი არ არის. შევარდნაძის ინაუგურაციას „დემოკრატიულად“ სტკიცა უარი მაშინდელმა საპარლამენტო ოპოზიციამ, „აღორძინების“ სახით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვერც დემოკრატიაში წავიწიეთ, ვერც სამართლიანობაში. ტყუილად გავყვირით დემოკრატიულები ვართო. დემოკრატიულობა და სამართლიანობა მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული. საკმარისია ამ ჯაჭვის ოდნავი შექანება, არც ერთი იქნება და არც მეორე.

2012 წლის 1 ოქტომბრის “დემოკრატიული“ არჩევნებიდან, ერთი წლის განმავლობაში, ეს ჯაჭვი გაცილებით ნაკლებად, ვიდრე წინათ, შექანდა, მაგრამ მაინც — მთავარი „შექანება“, ქვეყნის 2 მთავარის არჩევა-დანიშვნამ გამოიწვია. ბევრს მიაჩნია, რომ ამ საქმეში ჭარბად იყო სიტყვა „დემოკრატია“ ნახსენები, მაშინ, როდესაც საქმით საწინააღმდეგოსთან გვქონდა საქმე.

არის თუ არა „დემოკრატია“, როდესაც მომავალი პრემიერ-მინისტრის ვინაობა იცის ერთმა კაცმა, მაგრამ არავინ, მის პარტიასა და მთავრობაში?!

**არის თუ არა დემოკრატია, როდესაც ქვეყნის პირველ პირს მხოლოდ ვიღაცის ხათრით ნიშნავენ?**

პარლამენტმა დაამტკიცა ახალი პრემიერ-მინისტრი და მთავრობა... ივანიშვილის ხათრით. ივანიშვილს ხათრს ვერ გაუტეხდა საპარლამენტო უმრავლესობა, ვინაიდან მისი პარლამენტში ყოფნაც, ივანიშვილის პერსონას უკავშირდება.

ხალხის პატივისცემა ივანიშვილის მიმართ, ივანიშვილის მილიარდებით არის გამოწვეული და ამ მილიარდების წყალობით განხორციელებული ქველმოქმედებით. უფულო ივანიშვილს ექნებოდა სახალხო პატივისცემა? ექნებოდა, ოღონდ არა იმაზე მეტი, ვიდრე ნებისმიერ მოკვდავს.

**„რწყილისა და ჭიანჭველას“ იგავ-არაკს წააგავს ზემომოყვანილი მაგალითი, მაგრამ არა დემოკრატიას და როდესაც ასეთ „დემოკრატიასთან გვაქვს საქმე, არ უნდა გაგვიკვირდეს პარლამენტის კრიმინალი ოპოზიციისგან, მით უმეტეს არადემოკრატიულისგან. ახალი პრემიერ-მინისტრის „სპიცრუტენებში“ გატარება.**

**არადემოკრატიულად მოსულისთვის არადემოკრატიულთა დახვედრა — კანონზომიერია და ნაკლებად უნდა იწვევდეს გაკვირვებას, მით უმეტეს გაღიზიანებას, რამეთუ ორივე შემთხვევა არადემოკრატიულობას ეფუძნება. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, ოპოზიციამ რომ არ მიიღო მონაწილეობა მთავრობის დამტკიცების პროცედურაში.**

არ უნდა გაგვიკვირდეს, ვინაიდან ქართულ „დემოკრატიულ“ სივრცეში მსგავსი რამ ტრადიციადაა ქცეული. ჭირს იმის გახსენება, როდის მიიღო ოპოზიციამ მთავრობის დამტკიცებაში მონაწილეობა. რა გაეწყობა, ასეთია ქართული „დემოკრატია“.



და მიუხედავად ამისა, ახალ ხელისუფლებას უნდა ვუსურვოთ წარმატებები, ჩვენს თავს — მოთმინება და ოცნება, რომ ეს ექსპერიმენტი მაინც, დადებით ნაყოფს მოიტანს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

---

**ალიან-ჩალიანი**

## სოფლის მეურნეობის განვითარებაში ისრაელი გვერდში დაგვიდგება

**სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფ ისრაელის უმსხვილესი აგროკომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა.**

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრა თბილისში მიმდინარე სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-13 საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში გაიმართა.**

**შეხვედრა ისრაელის საელჩოს და უშუალოდ ელჩის იუვალ ფუქსის ორგანიზებით გაიმართა.**

**სოფლის მეურნეობის მინისტრმა შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის განვითრების სახელმწიფო სტრატეგიაზე ისაუბრა.**

**შალვა ფიფიას განცხადებით, ყველა ის პროექტი, რომელიც სამინისტრომ განახორციელა და სამომავლოდ აქვს დაგეგმილი, მიზნად ისახავს დარგის განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურ ხელშეწყობას და ისეთ სისტემურ ცვლილებებს, რაც უმოკლეს ხანში უზრუნველყოფს ქვეყნის აგრარულ განვითარებაში წინსვლას. შეხვედრაზე ისრაელის ელჩმა იუვალ ფუქსმა შალვა ფიფიას მინისტრად დანიშვნა მიულოცა და მადლობა გადაუხადა შეხვედრისთვის.**

**ინტერპრესი**

გაუხსნელი საქმე

# „ვარდების რევოლუცია" სისხლიანი იყო!

**საქართველოს ახალი მთავარი პროკურორი ჰყავს, რომელსაც არცთუ სახარბიელო მემკვიდრეობა დახვდა. გამოუძიებელი საქმეები, პასუხგაუცემელი კითხვები თუ ხელახლა გადასამოწმებელი მტკიცებულებები — პროკურორის თაროს ის „ფაილებია", რომელმაც სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში ახალი სარწმუნო და ობიექტური შტრიხები უნდა შეიტანოს.**

**მათ შორის შეიძლება მოხვდეს ერთი მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც ამავე დროს გასცემს პასუხს კითხვას — იყო თუ არა „ვარდების რევოლუცია" უსისხლო?**



შეიძლება ბევრს მიავიწყდა კიდეც 2003 წლის 22 ნოემბერს დატრიალებული ტრაგედია, რის გამოც ადამიანის უფლებათა ცენტრი დღემდე დაჟინებით მიმართავს პროკურატურას, თუმცა, უშედეგოდ. რას გადაწყვეტს ახალი მთავარი პროკურორი, ჯერ გაურკვეველია. 22 ნოემბერს, სიმბოლურად, არასამთავრობო ორგანიზაციამ ხელახლა მიმართა პროკურატურას.

10 წლის წინათ, 22 ნოემბერს, როცა ჯერ კიდევ ხალხმრავალი მიტინგების ექო ისმოდა ქვეყანაში, რუსთავიდან თბილისში მიმავალი უშიშროების სამინისტროს ჯავშანტრანსპორტიორი ე. წ. ბეტეერი „ბმვ" მარკის ავტომანქანას შეეჯახა. მანქანაში მჯდომი ეთერ წულიაშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი მძღოლი დავით საყვარელიძე №1 კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მოკლე ხანში გარდაიცვალა. მანქანაში მყოფმა ბავშვებმა სოფო და ბადრი წულიაშვილებმა კი სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღეს.

2003 წლის 24 ნოემბერს საქართველოს შსს თბილისის საგამოძიებო სამმართველოში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე, თუმცა, გარდაცვლილთა ნათესავები მიიჩნევენ, რომ საქმის ძიება თავიდანვე დარღვევებით წარიმართა და შესაბამისად, არც ჭეშმარიტება დადგენილა. იმის მიუხედავად, რომ გამოკვეთილი და ცნობილია, რომ „ბეტეერს" მძღოლ-მექანიკოსი ავთანდილ მამალაძე მართავდა, ის პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული.

**„მთელი ათი წლის განმავლობაში ჭეშმარიტების დადგენას ცდილობდა დავით საყვარელიძის მეუღლე ქალბატონი მარიამი, და ბუნებრივია, ითხოვდა დამნაშავის დასჯას, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში სამართალდამცავი უწყებები ამ საქმის გახსნით არ იყვნენ დაინტერესებულნი, რათა არ შებღალულიყო 2003 წლის ნოემბრის „უსისხლო რევოლუციის" სახელი",** — აცხადებენ ადამიანის უფლებათა ცენტრში.

შიდაეროვნულ ინსტანციებში დავის ყველანაირი შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ მარიამ საყვარელიძემ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსაც მიმართა.

თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ამ და კიდევ სხვა გაჭიანურებული საქმეების გამოძიების მოთხოვნით 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც კვლავ მიმართა პროკურატურას. ამის მიუხედავად ამ საქმის გასახსნელად კბილაშვილის უწყებაში არაფერი გაკეთებულა.

**„22 ნოემბერს, სიმბოლურად, კვლავ მიმართა ცენტრმა ახლადარჩეულ პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, მთავარ პროკურორს, რათა გამოიჩინონ პოლიტიკური ნება და წერტილი დაუსვან საქმეს, რომლის გახსნა, დანაშაულთა გამოვლენა და დასჯა დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული", — ამბობენ უფლებადამცველები, რომლებიც პროკურატურის მუშაობით აშკარად უკმაყოფილოები არიან. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ოთარ ფარცხალაძე, რომელიც აცხადებს, რომ გასული ერთი წელიწადი პროკურატურის მუშაობაში შეიძლება შეფასდეს, როგორც გარდამავალი პერიოდი, ამიერიდან კი ეს სტრუქტურა უფრო ქმედითი და ეფექტიანი იქნება. მას იმთავითვე „მკაცრი ბრალმდებლის" სახელით მოიხსენიებენ კოლეგები. დაველოდოთ, ისურვებს თუ არა ოთარ ფარცხალაძე „ვარდების რევოლუციის" სახელის შებღალვას, და ამასთანავე ჭეშმარიტების დადგენას.**

**თეა მოსია**

ვილნიუსის სამიტის წინ

# მაინც რას წარმოადგენს ასოცირების ხელშეკრულება?

**კონკრეტულად რაში მდგომარეობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ვილნიუსის სამიტის წინ სულ უფრო მწვავე და აქტუალური თემა ხდება?**

ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირის მთავარი ინსტრუმენტია საიმისოდ, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში ჩართული ქვეყნები უფრო მეტად დაუახლოვოს ევროკავშირის სტანდარტებს და ნორმებს. ასოცირების ხელშეკრულება შედგება ოთხი ძირითადი თავისგან, რომლებიც მოიცავს ერთობლივ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, სამართალს და საშინაო საქმეებს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს. მეოთხე თავი რამდენიმე საკითხს ფარავს - მათ შორის, გარემოს დაცვას, მეცნიერებას, ტრანსპორტს და განათლებას.

აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე ქვეყნებთან მიმართებით შემუშავებულ ასოცირების ხელშეკრულებას მნიშვნელოვანი ფაქტორი განასხვავებს იმ ხელშეკრულებებისაგან, რომლებიც ევროკავშირმა ზოგიერთ სხვა ქვეყანას შესთავაზა. საუბარია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ამუშავების პირობაზე. ამაზე ხელის მოწერით აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში ჩართული ქვეყნები აცხადებენ მზაობას, დანერგონ ევროკავშირის კანონმდებლობის ის ელემენტები, რომლებიც ეხება ვაჭრობას, მომხმარებლის დაცვას და გარემოსდაცვით რეგულაციებს. ქვეყნებს, რომლებიც ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმებას მოაწერენ ხელს, ათი წლის განმავლობაში ევროკავშირის 350-მდე კანონის დანერგვა მოუწევთ.

ამასთან, ამ შეთანხმების ხელმომწერ ქვეყნებს გზა გაეხსნებათ ევროკავშირის 500 მილიონი მომხმარებლისა და ბაზრისკენ, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი 12.9 ტრილიონ ევროს უტოლდება.

ვილნიუსში 28 და 29 ნოემბერს დანიშნული სამიტის პროგრამით გათვალისწინებულია უკრაინის მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, — თუმცა, ჯერჯერობით გაურკვეველია ეს მოხდება თუ არა, — ხოლო საქართველომ და მოლდოვამ ხელშეკრულებების ინიცირება უნდა მოახდინონ.

რაც შეეხება დროის იმ მონაკვეთს, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებას ხელმოწერიდან ამოქმედებისთვის ესაჭიროება, მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე ესა თუ ის ქვეყანა ხელშეკრულებას ხელს მოაწერს, დოკუმენტის რატიფიცირება ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტებმა უნდა მოახდინონ და ამ პროცესს შესაძლოა, რამდენიმე წელი დასჭირდეს. პარალელურად, როცა ხელშეკრულების რატიფიკაციას აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე ქვეყანა მოახდენს და ხელშეკრულებას ევროპის პარლამენტიც დაამტკიცებს, დაიწყება ხელშეკრულების ზოგიერთი ნაწილის წინასწარი დანერგვა — მაგალითად, ვაჭრობის სფეროში. უკრაინა თუ ვილნიუსში ხელშეკრულებას ხელს მოაწერს, ეს პროცესი შეიძლება უკვე 2014 წლის მარტში დაიწყოს.

რა მოხდება თუ უკრაინა ვილნიუსში ხელშეკრულებას არ გააფორმებს?



ასეთ შემთხვევაში, უკრაინას დარჩება თეორიული შანსი, ხელშეკრულებას ხელი მომავალში მოაწეროს, ევროკავშირის ნებისმიერ მინისტერიალზე, მაგრამ რეალურად ხელშეკრულების ვილნიუსში გაუფორმებლობით შეიძლება კიევის ევროპისკენ სვლა მნიშვნელოვნად და ხანგრძლივი დროით შეფერხდეს. პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა და უკრაინაში ევროკავშირის წარმომადგენელმა ალექსანდრ კვაშნევსკიმ 14 ნოემბერს ჟურნალისტებს უთხრა, ვილნიუსში ხელშეკრულება თუ არ გაფორმდა, ამით ის განუსაზღვრელი ვადით გადაიდება სამომავლოდ.

პოლონეთის ამჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ შიკორსკიმ კი ასე უპასუხა ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვას, უკრაინის მხრიდან ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი მთელ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროცესს ხომ არ დაუკარგავს აქტუალობასო:

„რეალურად, მოცემულ მომენტში უკრაინა ყველაზე წინ არის, რადგან მას უკვე ხელთ აქვს ასოცირების ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც ევროკავშირში პოლონეთის თავმჯდომარეობის დროს შემუშავდა. მოლდოვა და საქართველო კი თავიანთი ტექსტების ინიცირებას გეგმავენ. ამდენად, რასაც თქვენ შესაძლო მარცხად წარმოაჩენთ, სინამდვილეში ის იქნება, რომ საქართველო და მოლდოვა უკრაინის დონეს მიაღწევენ".

მართლაც, უკრაინასთან შედარებით, საქართველოსა და მოლდოვას პოზიცია ცოტა სხვაგვარია. ამ ქვეყნებმა მოლაპარაკებები ზაფხულში დაასრულეს (საქართველომ ივლისში, მოლდოვამ ივნისში). მას შემდეგ იურისტები და ლინგვისტები ცალკეულ საკითხებს ამუშავებენ. არსებული გეგმით, ეს ქვეყნები ვილნიუსში ხელშეკრულებების ინიცირებას მოახდენენ, ხოლო ხელშეკრულებების ხელმოწერა მოხდება არაუგვიანეს 2014 წლის სექტემბრისა. ხელშეკრულებების წინასწარი დანერგვა 2015 წლის დასაწყისიდან უნდა მოხდეს.

მოლდოვასა და საქართველოს დამატებითი სირთულე შეუქმნა შესაფერისი ფორმულირების მოძებნამ საიმისოდ, რომ ხელშეკრულების ამოქმედება სეპარატისტულ რეგიონებშიც ყოფილიყო გათვალისწინებული — მოლდოვას შემთხვევაში დნესტრისპირეთში, საქართველოს შემთხვევაში კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ასოცირების ხელშეკრულების სავაჭრო კომპონენტი სამივე სეპარატისტულ რეგიონს შეიძლება შეეხოს იმ პირობით, თუ ადგილობრივი კომპანიები ევროპული სტანდარტების თანახმად იმუშავებენ.

რაც შეეხება ასოცირების ხელშეკრულების მიმართებას ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივასთან, პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რომ აღმოსავლელი პარტნიორებისთვის შეთავაზებული ასოცირების ხელშეკრულებები არ მოიცავს ევროკავშირის წევრობისკენ გზას, თუმცა, ამას არც გამორიცხავს. ამდენად, ხელშეკრულების ეს ვარიანტი არ არის ისეთი მიმზიდველი, როგორიც თავის დროზე იყო დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის შეთავაზებული ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებდა ევროკავშირის წევრობისკენ გზას. თუმცა, შეთანხმება, რომელსაც აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს სთავაზობენ, მოიცავს ბევრად მეტს, ვიდრე, მაგალითად, ტუნისისა და მაროკოსთვის შეთავაზებული დოკუმენტები, რომლებიც გამორიცხავდა საბოლოო გაწევრების პერსპექტივას. ხორვატიას, მაგალითად, ბრიუსელთან სტაბილიზაციისა და ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 12 წელი დასჭირდა ევროკავშირში გასაწევრებლად. თურქეთმა ასოცირების ხელშეკრულება 1962 წელს გააფორმა, ევროკავშირის წევრობისკენ გზის გახსნას კი კვლავაც ელოდება.

ჩვენს შეკითხვას, დარჩება თუ არა ვილნიუსის ხელშეკრულებაში პირობა, რომ ევროკავშირში გაწევრება ყველა ევროპულ ქვეყანას შეუძლია, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ შიკორსკიმ ასე უპასუხა:

„ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, ჩემი აზრით, არ უნდა მოვერიდოთ ჩვენი კანონისა და ხელშეკრულებების გამეორებას. რომის ხელშეკრულებაც ადასტურებს, რომ (გაწევრებაზე) განაცხადის გაკეთება ევროპის ყველა ქვეყანას შეუძლია. ხალხს ვერ ავუკრძალავთ გაწევრებაზე განაცხადის გაკეთებას. ეს უსამართლობა იქნება".

როგორია სომხეთის, აზერბაიჯანისა და ბელორუსიის სტატუსი?

აზერბაიჯანს კიდევ, სულ მცირე, ერთი წელიწადი დასჭირდება მოლაპარაკებისთვის ასოცირების ხელშეკრულებაზე, რომელშიც გათვალისწინებული არ იქნება ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის კომპონენტი, რადგან ბაქო ჯერ არ არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი. სომხეთმა ახლახან უარი განაცხადა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე და ამის ნაცვლად რუსეთის ხელმძღვანელობით მოქმედ საბაჟო კავშირში აპირებს გაწევრებას. ეს ნიშნავს, რომ ვილნიუსში არანაირ ხელშეკრულებას არ მოეწერება ხელი, გარდა შესაძლო პოლიტიკური დეკლარაციისა, რომელიც ხაზს გაუსვამს ყველა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების ორმხრივ პოლიტიკურ ნებას. ბელორუსია უკვე არის რუსეთის საბაჟო კავშირის წევრი. ყველაზე ბევრი, რასაც ეს ქვეყანა შეიძლება ელოდეს, იქნება ევროკავშირთან თანამშრომლობისთვის ახალი სამართლებრივი ჩარჩოს გამონახვა, ვინაიდან დღეს ამ ქვეყნის ევროკავშირთან ურთიერთობა კვლავაც საბჭოთა პერიოდის შეთანხმებას ეყრდნობა.

**რადიო „თავისუფლება"**

◉ ბიზნესი

# უშველის ჯარიმების ჩამოწერა საქმეს?

**პომპეზურობის მოყვარული და პიარზე თავგადაკლული წინა ხელისუფლება დიდ პროექტებს ეჭიდებოდა. ბევრი მათგანი შეჩერებულია. პრეზიდენტყოფილი ყველა მაღალი რანგის სტუმარს საქართველოს ღირსშესანიშნაობასთან ერთად აჩვენებდა სურათებს სანაპიროზე მშენებარე, უმაღლესი კლასის სასტუმროსას – „ჰარკ ჰაით თბილისის“. მაგრამ სასტუმრო მხოლოდ სურათებზე დარჩა. პროექტი შეჩერებულია.**

ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მთავრობამ ბიზნესს საინვესტიციო ხელშეკრულებების დარღვევისთვის დაკისრებული მილიონობით ლარის ჯარიმები ჩამოაწერა. მინისტრის განმარტებით, ეს ღონისძიება იმ მიზნით გატარდა, რომ კომპანიებს ხელ-ფეხი გახსნოდათ, ეს ფირმები გაჩერებული იყვნენ, ამჟამად კი საქმიანობა განაახლეს.

სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტომ ინფორმაცია გაავრცელა იმის თაობაზე, რომ სპეციალურად შექმნილ კომისიას 41 საინიციატივო პროექტი წარუდგინა, მათგან 36-ზე დადებითი გადაწყვეტილებაა მიღებული. ჯარიმაჩამოჭრილი კომპანიების დასახელებისგან კონფიდენციულობის დაცვის მიზნით, ეკონომიკის სამინისტროში თავს იკავებენ, სამაგიეროდ, ამბობენ, რომ 4 საინვესტიციო პროექტზე 629 570 ლარია ჩამოწერილი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 4 მლნ 500 ათასლარიანი ჯარიმების ჩამოჭრაზე.

მთავრობის გადადგმულ ნაბიჯს მიესალმება პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე. იგი აკონკრეტებს, რომ კომპანიები ვალდებულებებს ვერ გაექცევიან. ამიტომ მთავარია არა ჯარიმები, არამედ პროექტების განხორციელება, – ასკვნის კომიტეტის თავმჯდომარე.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაია ვადების ჩამოწერას დადებითად აფასებს. მისი აზრით, ქვეყანაში რთული ეკონომიკური ვითარებაა და, აქედან გამომდინარე, ინვესტორებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ დაწყებული პროექტები 2014 წელს მაინც შეასრულონ – მიიჩნევს ექსპერტი, იგი ამბობს, რომ ამით მთავრობა ახალისებს ბიზნესს.

საკითხებისადმი სულს სხვა შეხედულება აქვს კიდევ ერთ ექსპერტს ლევან ალაფიშვილს. მას მიაჩნია, რომ ფული ბიუჯეტისაა და გასაკვირია, რატომ უნდა ჩამოეწეროთ ფული კომპანიებს. ექსპერტი საკითხს ამგვარად აყენებს – თუ გადასახადის გადამხდელს არ ეპატიება მცირედი ვალის გადაცილებაც კი, რატომ უნდა ეპატიოს კომპანიას, რომელმაც ვერ ან არ შეასრულა ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებები?

ვალდებულებათა შეუსრულებლობის ვადის გადაწევა დასჭირდა არაბულ კომპანიას „დაბი ჯგუფს“, რომელსაც რუსთაველზე, ყოფილი „იმელის“ შენობის მაგივრად 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო „კემპინსკი“ უნდა აეშენებინა, – გვიხსნიან ექსპერტები. ისინი იმასაც ამბობენ, რომ უამრავი პროექტია წლების წინ დაწყებული და შეჩერებული. ამის გამო არსებობს ეჭვი, რომ ჯარიმების ჩამოწერა ამ პრობლემას ვერ უშველის.

◉ გაფიცვების ტალღა

# პროფკავშირმა გამოიღვიძა

**წინა ხელისუფლების პირობებში პროფესიულ კავშირებს ყოველგვარი უფლება და როლი ჩამორთმეული ჰქონდა. ეს მკვდრადშობილი კანტორააო, ლაპარაკობდა ხალხი. მაგრამ შარშანდელი არჩევნების შემდეგ, როდესაც დაიწყო საზოგადოებრივი სექტორის გააქტიურება, ხელი პროფკავშირებმაც გამოიღეს. სულ ცოტა ხნის წინათ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს გაფიცულ რკინიგზელთა მოლაპარაკებებში (წარმატებითაც) ადმინისტრაციასთან.**

ორიოდე დღის წინათ კაზრეთში ოქროს საბადოს მუშები გაიფიცნენ – სულ 700 კაცი. მათი მოთხოვნაა, ხელფასების 100 პროცენტით გაზრდა, სადაზღვევო პაკეტის, აგრეთვე სამუშაო პირობების გაუმჯობესება.

კომპანია RMG-ს პიარკონსულტანტი ეკა ჯოჯუა აცხადებს, რომ კამპანია თანახმაა, სამიდან ორი მოთხოვნა დააკმაყოფილოს. ხელფასების გაზრდას კი გამორიცხავს. მათ ისედაც მაღალი ხელფასები აქვთ (თვეში 622 ლარიდან 920 ლარამდე), მაშინ, როდესაც თვეში სულ 16 სამუშაო დღეა, – აცხადებს ჯოჯუა და იქვე დასძენს, რომ კომპანიამ გაფიცულთა წინააღმდეგ სასამართლოში უკვე შეიტანა სარჩელი.

პიარკონსულტანტი იმასაც ამბობს, რომ მათი უცხოელი მეპატრონე საზღვარგარეთ არის, ჩამოვა და გაფიცულებს შეხვდება. მანამდე კი გაფიცულები არ აპირებენ სამუშაოების განახლებას და არც ადმინისტრაციასთან შეხვედრას, რადგან არ ენდობიან ხელმძღვანელობას. ამის მიზეზი ის არის, რომ საბადოს ხელმძღვანელობა 6 თვის წინათ მუშებს ხელფასების ეტაპობრივად გაზრდას დაჰპირდა, ერთი კვირის წინათ კი უფროსობამ მათ განუცხადა, რომ ხელფასები ერთი ლარითაც არ გაიზრდება. კომპანიაში ეჭვობენ, რომ პროცესები გარედან იმართება.

დღეისათვის ყველა საბადოზე შეჩერებულია მადნის მოპოვება. არ მუშაობს ლაბორატორია. მუშაობს მხოლოდ კომპანიის ფაბრიკა, რომელიც აქამდე მოპოვებულ მადანს იყენებს. თუ აქცია რამდენიმე დღე კიდევ გაგრძელდება, ისიც შეწყვეტს ფუნქციონირებას.

რადგან გაფიცულები არ ხვდებიან კომპანიის ხელმძღვანელობას, მათ დახმარებისთვის პროფკავშირებს მიმართეს. პროფესიული კავშირების წარმომადგენელი თამაზ დოლაბერიძე ამბობს, რომ გაფიცვა მისი ორგანიზაციის მიერ არ არის ორგანიზებული, მაგრამ ჩართულნი არიან მედიატორის სახით. გაფიცულები უკან დახევას არ აპირებენ და პროფესიული კავშირი სრულ თანადგომას უცხადებს მათ.

როგორც ჩანს, საქართველოს პროფკავშირები ნელ-ნელა ცდილობს დაიბრუნოს ცივილიზებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ორგანიზაციის როლი.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ რეიტინგი

# წარმატებულ რეფორმატორთა ათეულში

**წლის მიწურულს, ტრადიციულად, სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია, თავისი მოღვაწეობის შესაბამისი კრიტერიუმებით მრავალნაირ რეიტინგს ადგენს, რომლებიც ყველა რეგიონიდან მიღებული ინფორმაციის გარკვეულ ჯგუფებად დალაგებული ფორმითაა ხოლმე წარმოდგენილი. ამჯერად მსოფლიოს ბანკისა (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ერთობლივ ყოველწლიურ ანგარიშს „ბიზნესის წარმართვა 2014-ს“ (Doing Business 2014) წარმოგიდგენთ.**

აღნიშნული ანგარიში, რომელიც რიგით მეთერთმეტეა, 189 ქვეყნის ეკონომიკის შესახებ სხვადასხვა მონაცემს შეიცავს და საყურადღებო, უწინარესად, იმის გამოა, რომ პოტენციურ ინვესტორებს ამა თუ იმ ქვეყანაში სამრეწველო თუ მომსახურებითი მოღვაწეობის პერსპექტივების შეფასებას აწვდის და ამით ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მისი მიმზიდველობა-არამიმზიდველობის ხარისხის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. **მოხსენებაში გამოკვლეულია სამეწარმეო ციკლის ყველა ეტაპზე მისი ხელშემწყობი, ან, პირიქით, ხელშემშლელი რეგულირების ნორმები, მათ შორის, ბიზნესის წამოწყებისა და წარმოების სიადვილე, საგარეო სავაჭრო მოღვაწეობის სიმარტივე, საგადასახადო ტვირთი, ინვესტორთა უფლებების დაცვის საკითხი და სხვ.**

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული პარამეტრებით მსოფლიოს ქვეყნების სიის ლიდერია **სინგაპური,** რომელიც ზედიზედ მერვე წელია, ბიზნესის საწარმოებლად ყველაზე უკეთესი პირობებით გამოირჩევა. ამ მხრივ ყველაზე მიმზიდველი ქვეყნების ნუსხაში ასევე არიან **ჰონკონგი, ახალი ზელანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, დანია, მალაიზია, სამხრეთ კორეა, საქართველო, ნორვეგია და დიდი ბრიტანეთი.**

საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო ამ სიაში პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოებს შორის საუკეთესოა. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მომდევნო პოზიციებზე არიან **ლიტვა** (მე-17 ადგილი), **ესტონეთი** (22-ე ადგილი), **ლატვია** (24-ე ადგილი), **სომხეთი** (37-ე ადგილი), **ყაზახეთი** (50-ე ადგილი), **ბელარუსი** (63-ე ადგილი), **ყირგიზეთი** (68-ე ადგილი), **აზერბაიჯანი** (70-ე ადგილი), **მოლდოვა** (78-ე ადგილი) და **რუსეთი** (92-ე ადგილი), სიის მეორე ასეულში კი მოექცნენ **უკრაინა** (112-ე ადგილი), **ტაჯიკეთი** (143-ე ადგილი), ასევე **უზბეკეთი** (146-ე ადგილი).



ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მოხსენების ავტორთა აზრით, 2005 წლიდან მოყოლებული საქართველოს ამ მხრივ მსოფლიოში ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს: გასულ წლებში ქვეყანაში 36 ინსტიტუციური და მარეგულირებელი რეფორმა განხორციელდა, რომელთა შედეგად, საერთაშორისო საფინანსო ექსპერტების დასკვნით, დოკუმენტში ყველა ასახული მიმართულებით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია.

2004 წლიდან მოყოლებული, Doing Business-ის პროექტის ფარგლებში სპეციალისტები სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკებში სამართლებრივ-ნორმატიული რეფორმების მიმდინარეობას აკვირდებიან, რომელთა მიზანია სამრეწველო მოღვაწეობისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა. მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისით, ასევე მრავალი შიდა პოლიტიკური თუ სოციალური მიზეზებით გამოწვეული პრობლემების მიუხედავად, მსოფლიოს 144 ქვეყანაში 2012 წლის მაისიდან 2013 წლის მაისამდე 238 ამ სახის რეფორმა განხორციელდა. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ **თავისთავად აღნიშნულ დოკუმენტში საქართველოს კიდევ ერთი საფეხურით წინსვლა დიდად მისასალმებელია, მაგრამ ის გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონით საქართველო რეიტინგის ნუსხის პირველი ასეული ქვეყნის ჩამონათვალში არ შედის, ძალიან ცუდია და, შესაბამისად, რაც ახალი მთავრობის სამომავლო მუშაობის პრიორიტეტებს განაპირობებს.**

სარეიტინგო სიის სხვადასხვა კატეგორიაში საქართველოს წარმატებებზე კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, **საკუთრების რეგისტრირების მხრივ ლიდერები ვართ და პირველ ადგილზე ვიმყოფებით, მშენებლობის უფლების მიღების სიმარტივით – მე-2-ზე , კრედიტების მიღებით – მე-3-ზე, ბიზნესის დაწყების სიიოლით – მე-8-ზე, ინვესტორთა უფლებების დაცვით – მე-16-ზე, გადასახადების გადახდით – მე-20-ზე, კონტრაქტების შესრულებით – 33-ზე, საგარეო ვაჭრობის მოცულობით – 43-ზე, ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობით – 54-ზე, სამეწარმეო საქმიანობის შეწყვეტის პროცედურების სიმარტივით – 88-ზე.**

ბოლო ერთი წლის განმავლობაში კი საქართველოში ამ მიმართულებით მხოლოდ ერთი რეფორმა ჩატარდა, რომელიც კრედიტების საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესების მიზნით მოქალაქეთა პირადული ინფორმაციის დაცვას ეხებოდა.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ მოსანახია ოქროს შუალედი

# „საქართველომ მეტი უნდა იმსჯელოს ეკონომიკაზე, ვიდრე პოლიტიკაზე“

**მიმომხილველი თომას დე ვაალი საქართველოში არსებული ეკონომიკური და ახალი პოლიტიკური ვითარების შესახებ სტატიას აქვეყნებს.**

გასულ ერთ წელიწადს თომას დე ვაალი ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის პოლიტიკურ შეჯიბრებად აფასებს და აღნიშნავს, რომ „მიმდინარე მოვლენები კარგი გასართობი აღმოჩნდა პოლიტიკური ჟურნალისტებისთვის, თუმცა, მდგომარეობა არც ისე სახარბიელო გახლდათ ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის“.

**„ახლა ამ ორმა ძლიერმა ფიგურამ თანამდებობა დატოვა; კოალიცია „ქართულ ოცნებას“ სრული ძალაუფლება აქვს და უკვე არ არსებობს არანაირი გარემოება, რაც მათ ხელს შეუშლის ქართველი ხალხისთვის ყველაზე მტკივნეულ თემაზე - ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება-მუშაობაში“,** – წერს თომას დე ვაალი.

სტატიის ავტორი საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე ამახვილებს ყურადღებას.

**„პირველი ცხრა თვის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები არც ისე იმედის მომცემი გახლავთ – 1.7%, დაგეგმილი 6%-იანი ზრდის ნაცვლად. უმუშევრობის მაჩვენებლები, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია, რის გამოც სააკაშვილმა ძალაუფლება დაკარგა, კვლავ ძალიან მაღალია.**

მთავრობა და ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ამ წარუმატებლობის მიზეზებზე საუბრობენ.

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ამბობს: ამ მაჩვენებლების მიზეზია ის, რომ ეკონომიკა ახალი გუნდის ძლიერი მხარე არ არის. მთავრობა კი ამბობს, რომ სააკაშვილის მმართველობის დროს, გადასახადების გზით მიღებული მაღალი შემოსავლების დიდი ნაწილი ბიზნესის წნეხის შედეგი იყო. მთავრობის განცხადებით, უფრო ლიბერალურმა მიდგომამ, შემოსავლები შეამცირა, თუმცა, ბიზნესი დღეს უფრო თავისუფალია. ისინი ასევე აცხადებენ, რომ მაჩვენებლების შემცირების მიზეზი უტოპიური ინფრასტრუქტურული პროექტების შემცირებაა, მაგალითად, ქალაქ ლაზიკას პროექტი, რომელიც ქვეყანას არაფერში სჭირდებოდა. ასევე, მათი თქმით, ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც უცხოური ინვესტიციების შემცირება განაპირობა, გახლავთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აგორებული უარყოფითი პიარკამპანია. მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოხდება უცხოელთა მიერ საქართველოს აღქმა. ამ ქვეყანაში ნაწარმოებ და ექსპორტირებულ პროდუქციას დანარჩენი მსოფლიოსთვის არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს. ქვეყნის ყველაზე დიდი ეკონომიკური ღირებულება არის მისი პოტენციალი – გახდეს მთელი კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის მთავარი ჰაბი და სავაჭრო ცენტრი.**

**თბილისის სამეცნიერო და გასართობ ბლოგზე განთავსებული ბოლო პოსტის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის კონტურები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში დავით აღმაშენებელმა გამოკვეთა, რომელიც ვაჭრობის განვითარებას უჭერდა მხარს.**

**ასევე უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენლებმა მაინცდამაინც გასულ კვირას გადაწყვიტეს ვაშინგტონში სტუმრობა. ჩემი ინფორმაციით, მათ ორი ძირითადი თხოვნა აქვთ – პირველი, რომ მხარი დაუჭირონ ახალ მთავრობას და განსაკუთრებით იმ სასიკეთო ცვლილებებს, რაც სასამართლო სისტემას და საპარლამენტო პროცესებს უკავშირდება; ასევე, სთხოვონ საქართველოს დასავლელ მეგობრებს და თვით მთავრობას, იმოქმედონ თავისუფალ გარემოში და ნუ ეცდებიან საქმის გართულებას ყოფილ მაღალჩინოსნებზე, მათ შორის სააკაშვილზე, სამართლებრივი დევნის დაწყებით.**

**სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა მოინახოს ოქროს შუალედი და საქართველომ მეტი იმსჯელოს ეკონომიკაზე, ვიდრე პოლიტიკაზე“,** – წერს მიმომხილველი.

## ◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო „ვარდების რევოლუციით“ გაწბილებულია

### მსურველებს, აღნიშნონ ამ მოვლენის ათი წლისთავი, აქტივისტები გაჭირვებით აგროვებენ სოციალური ქსელების მეშვეობით

**თბილისში სოციალურ ქსელებში ავრცელებენ მოწოდებას, შეიკრიბონ საქართველოს დედაქალაქის ცენტრში, რომ აღნიშნონ „ვარდების რევოლუციის“ იუბილე, რომელიც 2003 წლის 23 ნოემბერს დაიწყო და რომელმაც ედუარდ შევარდნაძის გადადგომასთან და პრეზიდენტის პოსტზე მიხეილ სააკაშვილის არჩევასთან მიგვიყვანა. ინიციატორები თხოვენ ადგილობრივ ნებაყოფლობით მუსიკოსებს გამართონ კონცერტი იმ მოვლენების აღსანიშნავად. თუმცა, ჯერჯერობით, განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ ჩანს.**

მისი მთავარი გმირი იუბილეს სამშობლოდან შორს შეხვდება. უკანასკნელი მონაცემებით, სააკაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც მისი უფროსი შვილი ედვარდი სწავლობს. ექსპრეზიდენტის მეუღლე სანდრა რულოვსი თავის სამშობლოშია, ჰოლანდიაში, უმცროს შვილ ნიკოლოზთან ერთად. სააკაშვილმა უკვე განაცხადა, რომ იღებს პაუზას პოლიტიკურ საქმიანობაში სამშობლოში, რათა ხელი მოკიდოს სამეცნიერო ან პედაგოგიურ მოღვაწეობას დასავლეთში. მისი კომენტარები წლისთავთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ არის. სანდრა რულოვსმა კი გაავრცელა ცნობა, რომ ათი წლის წინათ მას ვარდებს ჩუქნიდნენ. ახლა კი მას — „მხოლოდ ეკლები და გაწბილება“ აქვს.



**— გაწბილებულია არა მხოლოდ სანდრა, არამედ ქართველთა უდიდესი უმრავლესობაც. ჩვენ ათი წლის წინათ გამოვდიოდით შევარდნაძის კორუმპირებული მთავრობის წინააღმდეგ. შედეგად კი სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდა ავანტიურისტების ჯგუფი, რომლებმაც მალე დაივიწყეს სახალხო გამოსვლების ლოზუნგები და დიდი ხნით დაამყარეს საქართველოში ნახევრად ფაშისტური რეჟიმი,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში იმ მოვლენების აქტიურმა მონაწილემ, საქართველოს ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში გიორგი ხაინდრავამ.

პროფესიონალმა რეჟისორმა ეს თანამდებობა შევარდნაძის მთავრობის გადადგომის შემდეგ ჩამოყალიბებულ მთავრობაში მიიღო, მაგრამ შემდეგ ოპოზიციაში გადავიდა. მისი სიტყვებით, რევოლუცია უკვე შეიძლებოდა მიგვეჩნია დამთავრებულად 2005 წლის თებერვალში ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული და ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუძიებელი დაღუპვის შემდეგ.

**— თავისი სიკვდილის მომენტისთვის იგი უკვე სააკაშვილის მოწინააღმდეგე იყო,** — ამბობს ხაინდრავა. **— უზურპატორების ამ ბანდისთვის ზურაბი არახელსაყრელი ფიგურა აღმოჩნდა. მე ამას ვამბობ, როგორც კაბინეტის მაშინდელი წევრი. იგი, ეჭვიც არ მეპარება, თავიდან მოიშორეს — როგორც ძლიერი მეტოქე. თუმცა, ოფიციალური ვერსიით, იგი გარდაიცვალა საყოფაცხოვრებო გაზით მოწამვლის შედეგად.**

სააკაშვილმა, როდესაც რევოლუციის შემდგომი არჩევნების დროს პრეზიდენტად ირჩევდნენ, ხმების თითქმის 98 პროცენტი მიიღო. ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ თავისი მართვის პირველ წლებში იგი მოქმედებდა მეტად ეფექტიანად სახელმწიფოს მშენებლობაში, კორუფციასთან და კრიმინალებთან ბრძოლაში, მაგრამ თანდათანობით გადაიხარა ავტორიტარიზმის მხარეს.

„ვარდების რევოლუციის“ მორიგი წლისთავი პირველად არ აღნიშნეს 2007 წელს — დიდმასშტაბიანი ანტისახელმწიფო დემონსტრაციების გამო. მაშინ სააკაშვილი გადადგა და ხელახლა აირჩიეს დიდი გაჭირვებით, მოაგროვა ხმების დაახლოებით 53 პროცენტი. იმ არჩევნების შედეგები დღესაც საქართველოში ბევრს საეჭვოდ მიაჩნია.

**— ამის ზუსტი ილუსტრაციაა ის, თუ რას ვადევნებდით თვალყურს ჩვენს ქვეყანაში 2007 წელს. ამის დადასტურებაა ცნობილი ფრაზა „ხელისუფლებას იბრუნებს, აბსოლუტურ ხელისუფლებას კი ანგრევს აბსოლუტურად“,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში ქართველმა პოლიტოლოგმა ივლიანე ხაინდრავამ.

მანამდე კი „ვარდების რევოლუციის“ წლისთავებს აღნიშნავდნენ პომპეზურად. 2005 წელს თბილისში ჩამოვიდნენ ესტონეთის, უკრაინისა და რუმინეთის პრეზიდენტები, რომლებიც ესწრებოდნენ ფორუმს „ევროპის გათავისუფლების ახალი ტალღა: დემოკრატია და ტრანსფორმაცია“.

კიდევ ერთი წლის შემდეგ თბილისში თავისუფლების მოედანზე, რომელიც რევოლუციის აკვნად ითვლება, თბილისში გახსნეს ზურაბ წერეთლის მიერ შესრულებული წმინდა გიორგის მონუმენტი. ასევე საპატიო სტუმრების — უკრაინისა და ესტონეთის პრეზიდენტების თანდასწრებით.

სხვათა შორის, ვარდები რევოლუციის სიმბოლოდ შემთხვევით იქნა არჩეული. ოპოზიცია უტევდა პარლამენტს, რომ იქიდან ედუარდ შევარდნაძე გამოედევნათ, იგი სესიის მუშაობაში ღებულობდა მონაწილეობას. შენობის მახლობლად ხანდაზმული მამაკაცი ჰყიდდა ვარდებს. ერთ-ერთმა პიროვნებამ ოპოზიციიდან შეისყიდა ყველა ვარდი ერთბაშად, დაურიგა ამხანაგებს, მათ შორის, სააკაშვილსაც. ამ ყვავილებით შეიჭრნენ ისინი სხდომის დარბაზში.

მეორე სიმბოლო გახდა შევარდნაძის ჩაის ჭიქა.

**— ეს იყო გადატრიალების მცდელობა, ვინაიდან დემონსტრანტები შეიჭრნენ არა მხოლოდ ყვავილებით, არამედ იარაღითაც,** — იხსენებდა შევარდნაძე ჩვენთან ინტერვიუში. **— მე დავემორჩილე ჩემს დაცვას, გამომიყვანეს დარბაზიდან.**

ამის შემდეგ სააკაშვილი ავიდა ტრიბუნაზე და დემონსტრაციულად დალია ჩაი ამ ჭიქიდან.

შევარდნაძემ ცოტა ხნით შემოიღო საგანგებო მდგომარეობა, მაგრამ უმალვე გააუქმა, რათა თავიდან აეცილებინა სისხლისღვრა. რევოლუციის ლიდერებთან მოლაპარაკების შემდეგ უკვე თავის რეზიდენციაში მან გამოაცხადა გადადგომის შესახებ. ასე გაიმარჯვა „ვარდების რევოლუციამ“.

მისი წლისთავი პომპეზურად უკანასკნელად აღნიშნეს 2008 წელს. რუსეთთან ომის და აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დაკარგვის შემდეგ განსაკუთრებით საზეიმო აღარაფერი ყოფილა. მაგრამ სააკაშვილთან მაინც ჩავიდა პოლონეთის მაშინდელი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი. ორი ლიდერი მოულოდნელად გაემგზავრნენ სამხრეთი ოსეთის საზღვრისკენ, და იქ მათ კორტეჟებს ცეცხლი გაუხსნეს, მსხვერპლი არ ყოფილა. თუმცა, ამ ინციდენტთან დაკავშირებით დღემდე ბევრი რამ გაურკვეველია. საქართველოს ახალმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა უკვე დაავალა, მოაწყონ მისი დაწვრილებითი გამოძიება.

2008 წლის 23 ნოემბერს, რევოლუციის ხუთი წლისთავზე, ოპოზიციაში გადავიდა ნინო ბურჯანაძე, რომელმაც დატოვა თავისი მნიშვნელობით მეორე პოსტი — პარლამენტის თავმჯდომარისა. მან შექმნა თავისი პარტია —„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“. მიმდინარე წლის 27 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებზე ბურჯანაძემ მესამე ადგილი დაიკავა, მოაგროვა ხმების 10 პროცენტი, და ახლა ამზადებს თავის მოძრაობას ადგილობრივი არჩევნებისთვის, რომელიც ნახევარი წლის შემდეგ გაიმართება.

**— სააკაშვილს არ აქვს უფლება აღნიშნოს რევოლუციის იუბილე, ვინაიდან მან მისი იდეალები გაყიდა, გაყიდა თავის მოქალაქეთა ასობით ათასი ადამიანის ბრძოლა უკეთესი მომავლისთვის,** — ამბობს ნინო ბურჯანაძე ჩვენთან საუბარში. **— რევოლუციის გადაგდება კი ისტორიის სანარცხეზე არ არის საჭირო. ის მოვლენები პროგრესული, დემოკრატიისათვის ბრძოლის იდეა, კორუფციის წინააღმდეგ ნორმალური ქვეყნისთვის სწორი იყო.**

მაგრამ არის სხვა აზრიც.

**— ათი წლის შემდეგ დაბეჯითებით შეიძლება თქვა, რომ რევოლუცია იყო აბსოლუტურად უარყოფითი გამოცდილება,** — განუცხადა ჩვენს გაზეთს ქართველმა ფილოსოფოსმა ზაზა შათირიშვილმა. **— დრომ გვიჩვენა, რომ სახელმწიფოს განვითარებაში სხვა გზითაა სიარული საჭირო. არ არის საჭირო რევოლუციები. იმ დღეების გმირთა ბედთან დაკავშირებითაც ეს თვალსაჩინოდ მოჩანს. არც ერთი მათგანი არ გახდა უკეთესი. ჟვანია დაიღუპა, სააკაშვილი დაიღუპა სულიერად, ბურჯანაძე ვერაფრით გამოსულა დახშული წრიდან.**

ИЗВЕСТИЯ

## დედამიწის ზურგზე



**50 წელი კენედის მკვლელობიდან: ექსპერტები დავობენ დაკვეთების შესახებ და „უფერული“ პრეზიდენტის პოპულარობის მიზეზებზე**

**ობამას განკარგულებით 2013 წლის 22 ნოემბერი გამოცხადებულია ჯონ კენედის ხსოვნის დღედ. მისი მკვლელობა ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი გაუხსნელადაა მიჩნეული, რამაც შეთქმულების უამრავი თეორია წარმოშვა. ერთ-ერთი ყველაზე „ცხადია“ მათ შორის, საბჭოთა ხელმძღვანელობის მონაწილეობა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ოსვალდი, რომელიც მკვლელად მიაჩნიათ, სსრ კავშირში ცხოვრობდა.**

* * *

**რიგაში სუპერმარკეტის ჩამონგრევის დროს დაღუპულთა რაოდენობამ 20 კაცს გადააჭარბა**

**ტრაგედიის სამი მსხვერპლი, როგორც მინიმუმი, მაშველებია, მათ შორის ლატვიის სახელმწიფო სახანძრო-სამაშველო სამსახურის განყოფილების მეთაური ვილნის შტეინიტისი. სუპერმარკეტის ნანგრევებში შეიძლება ისევ იყვნენ ადამიანები. რიგის მერმა ნილ უშაკოვმა ადრე ივარაუდა, რომ შენობაში საგანგებო შემთხვევის მომენტისთვის შეიძლება 70 კაცი ყოფილიყო.**



* * *

**პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა უკრაინის გადაწყვეტილების, ჩამოშორდეს ევროკავშირს, მიზეზები დაასახელეს**

**მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ გააღიზიანა ოპოზიცია, გამოიყვანა ევროინტეგრაციის მომხრეები კიევის ქუჩებში და შოკში ჩააგდო ევროპელი წარმომადგენლები, რომლებმაც თავი ვერ შეიკავეს მკვეთრი განცხადებებისგან. მოსკოვს კიევზე ზემოქმედებაში სდებენ ბრალს, სახელმწიფო დუმაში კი მიაჩნიათ, რომ თავად ევროკავშირმა გადალუნა ჯოხი ზედმეტი ზემოქმედებით „ტიმოშენკოს საკითხთან“ დაკავშირებით. ასეა თუ ისე, პუტინმა გაიმარჯვა. მაგრამ ეს დროებით, ამბობენ მეთვალყურეები.**



* * *

**უკრაინის ევროინტეგრაციის შეჩერების მოწინააღმდეგეები ღამით კიევის ქუჩებში გამოვიდნენ**

**ხუთშაბათ საღამოდან ხალხმა დაიწყო თვითორგანიზება სოციალური ქსელების დახმარებით. პროტესტების მონაწილეთა ნაწილი გამოვიდა ბანკის ქუჩაზე, სადაც პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის ადმინისტრაციაა. რეზიდენციასთან მისასვლელი გზა გადაკეტეს ავტობუსებმა, რომლებშიც ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები იყვნენ. დანარჩენები გავიდნენ მაიდანზე, სადაც საღამოდან გამორთეს ვებ-კამერები.**



ინტერნეტიდან



# „ის არ არის სააკაშვილის მდიდრული ბუნაგი, ის ჩვენი სახელმწიფოს პრეზიდენტის რეზიდენციაა“

„სასახლეზე უარის თქმა იყო მკაფიო გზავნილი, რომ ახალი ხელისუფლების და ჩვენი ქვეყნის სახე არაა პომპეზური სახელმწიფო შენობა-ნაგებობები.

ეს სასახლე გადმოჰყურებდა ქალაქს და ყველას ეუბნებოდა, რომ საქართველოს ხელისუფლება არის ასეთი ძლიერი, დიადი. მერე რა, რომ ღარიბები ვართ — სამაგიეროდ გავიჭირვეთ და ეს სასახლე წამოვჭიმეთ. მერე რა, რომ მოსახლეობას უჭირს, მერე რა, რომ ომი წავაგეთ. გარეთ ხომ მტერს ვუბრმავებთ თვალს!

უცნაურია, რომ ძველი ხელისუფლების ის ტრფიალნი, რომლებიც ქართულ ზნეს დასცინოდნენ, თავგამოდებით იცავდნენ ამ ზნის ერთ-ერთ ცუდ გამოვლინებას — კუდაბზიკობას. მე ვიცი ოჯახები, რომლებიც ვალს იდებდნენ (თანაც ძალიან დიდს) და უმდიდრულეს ქორწილს იხდიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვის თვალში „ულირსად“ არ წარმოჩენილიყვნენ.

ასეთი იყო ეს სასახლეც. ის ამ ზნის გამოხატულებაც იყო.

პრეზიდენტმა თქვა, რომ აქ საგანმანათლებლო რამ იქნება. ეს იყო დეკლარაცია იმისა, თუ რა მნიშვნელობა მიენიჭება განათლებას მომავალ საქართველოში. უცნაურია, რომ ქართულმა ელიტამ, სააკაშვილის მოწინააღმდეგეებმაც კი ერთი ამბავი ატეხეს და დაბეჯითებით ითხოვდნენ, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი სასახლეში შესულიყო. რატომ?

ჩემი აზრით, ეს არ აღელვებს მოქალაქეთა უმრავლესობას. პირიქით, ხალხს ზედმეტი პათეტიკის, გადაჭარბებული პომპეზურობის გარეშე მართვის სტილი სწორედაც რომ მოსწონს“ — ასეთი პოსტი დადო ფეისბუქში შალვა რამიშვილმა, და აი, კომენტარებიც:

„შალვა, არ შეიძლება ეს შენობა კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებას გადაეცეს. ასევე მისი იერსახე ძალზე პომპეზურია და სულაც არ ასოცირდება უნივერსიტეტთან... მხარს ვუჭერ იქ ქართული სახლის განთავსებას და არა მარტო მე... იყოს ეს სასახლე ქართველთა სავიზიტო ბარათი“...

„ასეთი ნეორეიხსტაგი არ შეიძლება იყოს ქართველთა სავიზიტო ბარათი“!

„სასახლეს ნუ შეებრძოლებით, ეს ჩვენი სასახლეა და არა კერძო პირის, და ის აუცილებლად ეკუთვნის ქართველ ხალხს, და არა ერთ პრეზიდენტს. ვინ იქნება ის, მნიშვნელობა არა აქვს, სასახლე საპრეზიდენტოა და ის იქ აუცილებლად უნდა დაბრუნდეს“...

„არაა ასეთი სასახლე საქართველოს პრეზიდენტისთვის ორგანული. არ ეკუთვნის არც ჩვენი ტრადიციებიდან, არც აწმყოდან გამომდინარე ასეთი სასახლე პრეზიდენტს“?

„მე მომწონს, აქვს რაღაც დიადური და ასახავს იმ განწყობას, რაც ახასიათებდა ერს, არ მჯერა იმ მოკრძალების, რომელიც ამჟამად გამოხატება იმით, რომ გადახვედით სხვა შენობაში“.

„ეს სასახლე არა უბრალოდ ქართული არ არის, არამედ ყველა ქართული არქიტექტურული ტრადიციის პირდაპირი შეურაცხყოფაა. როგორც შენობა, რაკიღა უკვე აშენდა, რა თქმა უნდა, გამოყენებული უნდა იქნას, მაგრამ არა რაიმე სიმბოლური დატვირთვით. მეც ვფიქრობ, რომ ერთდერთი გამართლება არის საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გადაცემა“.

„ჩემი აზრით, სასახლეში უნდა გადასულიყო პრეზიდენტი და სწორედ ამით დაესმებოდა ქართულ კუდაბზიკობას წერტილი. და რაც შეეხება ქართულ ტრადიციებს, ამაზე სხვადასხვაგვარი მოსაზრებები არსებობს და ცოტა მოსაბეზრებელი გახდა“

„ამ შენობის არქიტექტურაზე საუბარი უხერხულია, თეთრი სახლის და კაპიტოლიუმის შენობის უნიჭო ნაზავი, მიშასეული მინისადმი ტრფობის ისტერიული შტრიხებით. მთელი ეგ ტერიტორია გადაიქცა არქიტექტურულ კატასტროფად“.

„იქ შეიძლება განთავსდეს უშიშროების საბჭოც თავისი სტრუქტურებით და ყველა სამსახური, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარებ“.

„ისევ პრეზიდენტის სასახლედ უნდა დარჩენილიყო, პლუს სხვა ინსტიტუციები დაებინავებინათ იქ, რომლებიც ინსტიტუციურად პრეზიდენტის ინსტიტუტს ექვემდებარებიან?

„გადავიდეს იქ პრემიერიც და პრეზიდენტიც!“

„ვისაც პატარა კახის თელავის სასახლე უნახავს, ნამდვილად დარწმუნდება, რომ პომპეზურობა და მეშჩანური კუდაბზიკობა ქართულ ხასიათში არ ზის...თორემ, მეფე იყო და როგორმე მოახერხებდა უფრო დიდი და უფრო მდიდრული სასახლის აგებას“....

„ეს სასახლე ხალხის იმ კატეგორიას მოსწონს, რომელსაც გააზრებული დღემდე არ აქვს, როგორ ხარჯავს ხალხის ფულს მთავრობა“...

„ეგ სასახლე ის „ოქროს სარაიააა“, ყვარყვარე რომ აშენებდა. სიტყვა „სარაი“ მონღოლურია და სასახლეს ნიშნავს. ამაშიც ჩანს მიშას და ნაცების ნამდვილი სახე და მენტალიტეტი“.

„საშინლად არ მომწონდა მიშა და მისი საქციელები პრეზიდენტობის დროს, მაგრამ პრეზიდენტის სასახლე ძაააააან მაგარია. ნამდვილად დამწყდება გული, რომ სხვა რამედ გადაკეთდეს.

„ერთმა ჩემმა ახლო ნათესავმა, რომელიც ბავშვობიდან ევროპაში გაიზარდა, სასახლის დანახვაზე სწორი რეაქცია გააკეთა: გაჭირვებულ ქვეყანას და ხალხს როგორ აკადრა ასეთი სასახლეო. მართალიც იყო. თუმცა, ღმერთმა არა ქნას საქართველო კიდევ დიდხანს იყოს ამ დღეში. ამიტომ, რადგან უკვე აშენებულია, იქნებ არ შევუცვალოთ დანიშნულება და დავიცადოთ. ჩემი აზრით, როცა ქვეყანა წინ წავა, მაშინ ასეთი სასახლეც ლოგიკაში ჩაჯდება.

„ძალიან კარგია და მისასალმებელია, რომ ახალი პრეზიდენტი არ იცხოვრებს სააკაშვილის ყოფილ, მდიდრულ ბუნაგში“.

„ეს შენობა თავისი დაცულობით, ტექნიკური და კლიმატის კონტროლის შესაძლებლობებით უფრო ხელნაწერთა მუზეუმს დაამშვენებდა. შესაძლებელია რამდენიმე მუზეუმის განთავსება და ასეთი სამუზეუმო კომპლექსის შექმნა. ამ შემთხვევაში იგი ნამდვილად საერთო-სახალხო ფუნქციას შეიძენდა“

„კარგი იქნება, თუ ავლაბრის რეზიდენციაში განთავსდება არა რომელიმე უნივერსიტეტი, არამედ სამუზეუმო სივრცე, სადაც დაცული და გამოფენილი იქნება როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამოღებული ნიმუშები (დაწყებული ზეზვა და მზიას დროიდან), ისე ხელოვნების ნიმუშები (მხატვრობის, ქანდაკების, ხელნაწერთა და სხვა), ასევე საკონფერენციო დარბაზები და სხვა. აქ უნდა განთავსდეს, პირობითად დავარქვათ „ქართული ისტორიის სახლი“... ეს ადგილი გახდება ტურისტთა ვიზიტის ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი თბილისში და ამით შანსი მიეცემა შენობას თავი გამოისყიდოს ნაწილობრივ მაინც“...

**ნათა ნიბლაძე**

შეშის კრიზისი

# მოსახლეობაში უკმაყოფილება იზრდება

**შეშის მომარაგების პრობლემამ ზამთრის პირზე თავი ერთბაშად იჩინა. განსაკუთრებით დიდი პრობლემებია დასავლეთ საქართველოში. თითქმის ყველგან მოსახლეობა ამ პრობლემაზე ჩივის, ზოგან კი საპროტესტო აქციაც გაიმართა.**

გასხვისებული ტყეების გამო, ადგილობრივ მოსახლეობას ტყეკაფები მიუვალ ადგილებში გამოუყვეს, თანაც დროის ლიმიტი განუსაზღვრეს — შეშა 24 საათის განმავლობაში უნდა გამოიტანონ.

კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელის (CENN) მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე, გამოსავალი რაჭველმა მეტყევეებმა მოძებნეს. ისინი საბუთს არა დამზადების, არამედ ტყიდან გამოტანის ადგილზე წერენ.

**„სოფელი ძალიან ცუდ დღეშია, მოსახლეობის ნახევარს შეშა მოსატანი აქვს. ხეების მონიშვნა ძალიან გვიან, ოქტომბერში დაიწყო. სადაც მონიშნა, გზა არ არის და ხარებით ძლივს გამოგვაქვს. ოთხი კაცი უნდა წავიდეთ და ოთხი დღე მაინც ვუნდებით შეშის დამზადებას. თუ არადა, 5 კბ/მ შეშა 700 ლარი გვიჯდება და ისიც არ გვყოფნის მთელი ზამთარი. მადლობელი ვართ მეტყევეების, რომლებიც გველოდებიან და ტყიდან რომ გამოვიტანთ, ბილეთს მერე გვიწერენ, თორემ 24 საათში შეშის გამოტანას ვერავინ შევძლებდით“,** — ამბობს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის მკვიდრი ირაკლი გრძელიშვილი.



CENN-ის ინფორმაციით, ხეტყის წარმოშობის დოკუმენტი ტყის ფონდის ტერიტორიაზე, დატვირთვამდე უნდა შეივსოს. მიუვალ ადგილებში დამზადებისა და დატვირთვის ადგილებს შორის კი მანძილი საკმაოდ დიდია. მოსახლეობას შეუძლია დამზადების ადგილიდან დატვირთვის ადგილამდე ხეტყის მისატანად ცოცხალი გამწევი ძალა გამოიყენოს.

**„თუკი ბილეთი დამზადების ადგილზე შეივსება, კანონიერ ვადაში შეშის სახლში მიტანა შეიძლება მართლა გაძნელდეს. ასე რომ, ტყის შესასვლელთან მყოფი მეტყევეები მოსახლეობას არა მარტო კანონისა და მორალის, არამედ ლოგიკის ფარგლებშიც ეხმარებიან“,** — აცხადებენ CENN-ში.

სამეგრელოში კი შეშის გამო უკვე საპროტესტო აქციებიც იმართება. ზამთარი, პრაქტიკულად, უკვე დაიწყო და სოფლის მოსახლეობის საკმაო ნაწილს სახლში სათბობი საშუალება არ მოეძევება. არადა, ტყიდან შეშის გამოტანა დღითი დღე რთულდება.

**ახალი ტყეკაფების გამოყოფის მოთხოვნით მარტვილის რაიონის სოფელ კურზუს მოსახლეობამ აქცია გამართა. „ადრე არავინ კითხულობდა, სად იყო შეშა მოჭრილი. შეშის მოჭრას არც ხეტყის დამამზადებელი კომპანია „ჯორჯიან ფორესთი“ კრძალავდა, რომელიც კურზუსა და ტალერის ტყეებში ოცწლიანი ლიცენზიის მფლობელია. ახლა კი, შეშის დამზადებისა და ტრანსპორტირების წესები ერთბაშად აამოქმედეს. ეს, ფაქტობრივად, შეშის გამოტანის აკრძალვა და ზამთარში ხალხის სიცივეში დატოვებაა“,** — აცხადებენ კურზუში.

**„ჩვენთან ძალიან მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი იცის, ბუნებრივია, მოსახლეობას ყველაზე მეტად შეშის გარეშე დარჩენის ეშინია. რამდენიმე დღის წინათ ტყეკაფამდე მისვლა რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტთან ერთად ვცადეთ. ეს არის 20-22 კილომეტრი სიგრძის ურთულესი და სახიფათო გზა, რომელზე გადაადგილებაც საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასადაც კი გიჯდება. ნიადაგის ზედა ფენები თითქმის მთელ სავალ გზაზე დაშლილი, ჩამორეცხილი, დაღარული და დახრამულია“,** — აცხადებს „ღია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივის“ კოორდინატორი სამეგრელო-ზემო სვანეთში მაია კოდუა.

CENN-ის ინფორმაციით, ხეტყის უკანონო დამზადებისა და ტრანსპორტირების ფაქტზე ნოემბრის დასაწყისში სოფელ კურზუს რამდენიმე მცხოვრები დააკავეს. დაჯარიმება 12 ნოემბერს კიდევ განმეორდა. თენგიზ ნაჭყებია ხეტყის წარმოშობის დოკუმენტში მითითებული შეშის მოცულობის მანქანაზე დატვირთულ რაოდენობასთან შეუსაბამობაზე დააჯარიმეს: **„მანქანაზე 6 კბ/მეტრიც არ მქონდა. ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებმა კი მოცულობის დასადგენად ყველაზე გრძელი მორის ზომა გამოიყენეს“,** — ამბობს თენგიზ ნაჭყებია.

პრობლემებია აბაშის რაიონშიც. როგორც „ღია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივის“ სამეგრელოს საკოორდინაციო ჯგუფში აცხადებენ, აბაშის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეშის მოტანისგან თავს იკავებს. ამის მიზეზი მიუვალ ადგილებში გამოყოფილი ტყეკაფები, გამკაცრებული კონტროლი და გახშირებული ჯარიმებია.

**„შეშა, ჯერჯერობით, ძალიან ცოტა რაოდენობით გვაქვს დამზადებული. ხეებს ყანებსა და ეზოებში ვჭრით. ტყეკაფები სოფლიდან ძალიან შორს, 45-50 კილომეტრზეა და ისიც მიუვალ ადგილებში. იქიდან შეშის გამოზიდვა მხოლოდ ხარით და ურმით არის შესაძლებელი“,** — აცხადებს სოფელ სუჯუნას მკვიდრი ზურაბ წულაია.

სოფელ გამოღმა კოდორში აცხადებენ, რომ წლების განმავლობაში ტყეკაფების გამოყოფა მხოლოდ ფორმალობა იყო. კანონიერად შეშის მოსაპოვებლად არავინ წავიდოდა და ვინმე რომც წასულიყო, შეიძლება ტყეკაფებამდე ვერ მიეღწია. სოფლის მკვიდრი ოლეგ ნაკაშიძე აღნიშნავს, რომ შარშან ტყეკაფი სერიაჩკონის ტყეში იყო გამოყოფილი, რომელიც სოფლიდან 60-70 კილომეტრითაა დაშორებული. ამ კუთხით მდგომარეობა არც წელს შეცვლილა.

**გიორგი ბექაური**

ალიან-ჩალიანი

## სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ზამთრისთვის შეშა დაურიგდებათ

**ამის** შესახებ გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ გია ცაგარეიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ყველა ოჯახს 7-7 კუბური მეტრი შეშა დაურიგდება. გარდა ამისა, როგორც ცაგარეიშვილმა აღნიშნა, იგეგმება გარკვეული ცვლილებები სათბობი შეშის გაცემასთან დაკავშირებით. დეპუტატის ინფორმაციით, გარემოს დაცვის მინისტრს უკვე მომზადებული აქვს შესაბამისი ცვლილებები, რომელიც შევა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში. როგორც გია ცაგარეიშვილმა აღნიშნა ცვლილებების თანახმად, მთლიანად შეიცვლება სათბობი შეშის გაცემის წესი.

ინტერპრესი

ხელბურთი

# ჩემპიონი — გათამაშების ცხრილის სათავეში



**დასრულდა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე. გუნდებმა შვიდ-შვიდი შეხვედრა გამართეს. დასავლეთი ჯგუფის პაექრობებს სენაკის სპორტის სასახლემ უმასპინძლა, ხოლო აღმოსავლეთი ჯგუფის წევრებმა თბილისში იასპარეზეს. უდანაკარგოდ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სტუ დაწინაურდა.** ლიდერს ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი ბათუმი 2 ქულით ჩამორჩება, მესამე ადგილზე ჩემპიონატის დებიუტანტი სამტრედია დამკვიდრდა:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 7 | 7 | 0 | 0 | 236-160 | 14 |
| ბათუმი | 7 | 6 | 0 | 1 | 292-213 | 12 |
| სამტრედია | 7 | 5 | 0 | 2 | 257-226 | 10 |
| პეგასი | 7 | 2 | 2 | 3 | 212-234 | 6 |
| იმედი | 7 | 3 | 0 | 4 | 192-219 | 6 |
| ქუთაისი | 7 | 2 | 1 | 4 | 222-263 | 5 |
| ჭაბუკები | 7 | 0 | 2 | 5 | 203-246 | 2 |
| თელავი | 7 | 0 | 1 | 6 | 158-211 | 1 |

**ბომბარდირები:** გიორგი კვერნაძე (ქუთაისი) - 61, ლექსო წითელიშვილი (სამტრედია) — 57, ირაკლი თევზაძე (სამტრედია) — 55, უჩა გამზარდია (ბათუმი) — 55, ნიკოლოზ ჯორბენაძე (ბათუმი) — 55, ალექსანდრე ცხვარაშვილი (პეგასი) — 50, ირაკლი კბილაშვილი (ჭაბუკები) — 46, გიორგი იობაშვილი (იმედი) — 44 გოლი.

საქართველოს ჩემპიონი სამწრიანი ტურნირის შემდეგ 2014 წლის გაზაფხულზე გამოვლინდება. ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე 16-19 დეკემბერს თბილისში ჩატარდება, ნაახალწლევს — 2-11 იანვარს კი საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის 4 საკვალიფიკაციო მატჩს გამართავს:

**2 იანვარი:** ფინეთი — ლიტვა, თურქეთი — საქართველო;

**4-5 იანვარი:** ლიტვა — ფინეთი, საქართველო — თურქეთი;

**8-9 იანვარი:** საქართველო — ლიტვა, თურქეთი — ფინეთი;

**11-12 იანვარი:** ლიტვა — თურქეთი, ფინეთი — საქართველო.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები და მისი მეტოქეები ჯგუფში უკვე ორ–ორჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს: **30 ოქტომბერი.** ლიტვა — საქართველო 23:17, ფინეთი — თურქეთი 26:20; **3 ნოემბერი.** თურქეთი — ლიტვა 20:23, საქართველო-ფინეთი 26:19. **სატურნირო მდგომარეობა:** ლიტვა — 4, საქართველო — 2, ფინეთი — 2, თურქეთი — 0 ქულა.

**ლექსო ცინცაძე**

ჭიდაობა

# ზოგი - მინსკში, ზოგიც - ბაქოში



**საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ამ შაბათ-კვირას ორ ფრონტზე იბრძოლებენ: ერთი გუნდი, რომელიც უმეტესად ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული, მინსკში მასპინძელთა პირველი ოლიმპიური ჩემპიონის — ოლეგ კარავაევის მემორიალში მოსინჯავს ძალებს.** ბელარუსის დედაქალაქში გაემგზავრნენ ნიკა ცეცხლაძე (55), თორნიკე თურქიშვილი (60), საჩინო დავითაია (66), ზურაბ დათუნაშვილი, ილია გულბათაშვილი (ორივე — 74), ვლადიმერ გეგეშიძე (84), ვასილ იმერლიშვილი, სოსო ჯაბიძე (ორივე — 96), ლევან არაბული, სერგო გოგისვანიძე (120). მთავარი პრიზისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდებიან საქართველო, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ლიტვა, პოლონეთი და მასპინძელთა ორი გუნდი. ტურნირის საპრიზო ფონდია 60 ათასი დოლარი.

ბაქოში „ოქრო დიდ პრიზზე" გიორგი ლომინაძე (55), ლაშა გოგიტაძე (60), რევაზ ლაშხი, გიორგი დავითაია (ორივე — 66), მანუჩარ ცხადაია, უშანგი ჩიტიაშვილი (ორივე — 74), გიორგი ცირეკიძე, რევაზ ნადარეიშვილი, გაგა კილასონია (სამივე — 84), ირაკლი ქაჯაია, მიხეილ ქაჯაია, ბექა როყვა (96), გურამ ფერსელიძე, იაკობ ქაჯაია და შოთა გოგისვანიძე (120) იჭიდავებენ.

**ლაშა დიდია**

თაობა

# ლერი ხაბელოვის სახელობისა

**1997-1998 წლებში დაბადებული 217 მოზარდი მონაწილეობდა ოლიმპიური და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ლერი ხაბელოვის სახელობის ტურნირში.** დედაქალაქში საასპარეზოდ თავი მოიყარეს საქართველოს



სხვადასხვა რეგიონისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: 35 კგ. თორნიკე ასაბაშვილი (ყვარელი), 38 კგ. ნიკა კვინიკაძე (გორი), 42 კგ. ლადო გამყრელიძე (ამბროლაური), 46 კგ. დანიელ მარქარაშვილი (კასპი), 50 კგ. თემურ გაწერელია (რუსთავი), 54 კგ. ალი გუსეინოვი (ბაქო), 58 კგ. გიორგი ყაზარაშვილი (კასპი), 63 კგ. ზელიმხან ვალიევი (ბაქო), 69 კგ. ჯანგირა ახმედოვი (ქარელი), 76 კგ. მექი სიმონია (ქუთაისი), 85 კგ. თორნიკე კიკნაძე (ხაბელოვის კლუბი), 100 კგ. ჯონი პეტრიაშვილი (გორი).

**გივი გაგუა**

ჩოგბურთი

# ნოვაკმა რაფას კიდევ ერთხელ მოუგო

**ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ნიკოლას მასუს ჩოგბურთიდან გაცილების საზეიმო ცერემონიალი მოეწყო. მასში მონაწილეობა თავად მასუმაც მიიღო, რომელიც საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ კორტზე კიდევ ერთხელ გავიდა და არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს 2 სეტში მოუგო. შემდეგ კი საგამოფენო შეხვედრა კლასიფიკაციის პირველ-მეორე ნომრებმა რაფა ნადალმა და ნოვაკ ჯოკოვიჩმა გამართეს.**



რაფა და ნოვაკი ერთმანეთს ბოლოჯერ ლონდონში, წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში შეხვდნენ და სერბმა ამ ტურნირის ჩემპიონობა ესპანელის ძლევით შეინარჩუნა. მალიორკელმა სანტიაგოშიც ვერ მოახერხა ბალკანელის დამარცხება — ჯოკოვიჩმა პრინციპულ მოწინააღმდეგესთან ამჯერადაც 2 სეტში 7:6, 6:4 იმარჯვა.

**გიორგი შოთაძე**

ავტოსპორტი

# „რედ ბული" პიტსტოპების რეკორდსმენიც გახდა

**ზედიზედ მეოთხე ტიტული როგორც პილოტების, ისე გუნდების ჩათვლაში, ზედიზედ მოპოვებული რვა გამარჯვება, პოულები, უსწრაფესი წრეები, ვადამდე მოპოვებული ჩემპიონობა — ეს ყველაფერი ამ სეზონში „რედ ბულის" და მისი გერმანელი ფავორიტის სებასტიან ფეტელის მიღწევაა. ამერიკაში ამ ყველაფერს კიდევ ერთი — უსწრაფესი პიტსტოპი დაემატა, ოღონდ ის მარკ ვებერის და მისი მომსახურე პერსონალის დამსახურებაა.**



მათ ავსტრალიელ მრბოლს პიტსტოპზე ოთხივე ბორბალი ორ წამზე ნაკლებში გამოუცვალეს! უფრო ზუსტი დრო 1.923 წამია, რაც ავსტრიული საჯინიბოს ქრონომეტრმა დააფიქსირა. ისევე როგორც წინა რეკორდების შემთხვევებში, შესაძლოა ამჯერადაც რომელიმე გუნდმა გამოაცხადოს, რომ უფრო სწრაფი პიტსტოპი ჰქონდა. მაგრამ ფაქტია, რომ ორ წამზე ნაკლებში ასეთი რთული და საპასუხისმგებლო საქმის გაკეთება ფანტასტიკის სფეროდანაა.

„პიტსტოპების ომი" გასულ სეზონში, გერმანიის ეტაპზე დაიწყო, როცა „მაკლარენმა" საბურავები 2.3 წამში შეცვალა. მაშინ „მერსედესმა" გამოაცხადა, რომ პიტსტოპებზე ვარჯიშების დროს მისმა პერსონალმა საქმეს ორ წამზე ნაკლები მოანდომა. თუმცა მთავარი ოფიციალური მონაცემებია... „მაკლარენის" ეს მაჩვენებელი „რედ ბულმა" 2.05 წამამდე მალაიზიაში ჩამოიყვანა და თითქოს, ზღვარიც დააფიქსირა. შემდეგ ეს დრო „მერსედესმა" გააუმჯობესა (იაპონიაში). იქვე „ფერარიმ" გამოაცხადა, რომ რბოლისას ორ წამს ჩამოსცდა, მაგრამ ოფიციალურმა ქრონომეტრაჟმა ეს არ დაადასტურა.

და აი, ორწამიანი ბარიერი, რომელიც მიუღწევლად ითვლებოდა, დაძლეულია. ბრაზილიაში შესაძლოა ისიც გაუმჯობესდეს. მერე კი, უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, რეგლამენტში ახალი პუნქტის შეტანას აპირებენ, რომელიც პიტსტოპის მინიმალურ დროს დააწესებს...

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# სიურპრიზი ერიკასაგან

**თუკი ისეთ საფეხბურთო ეროვნულ გუნდებსაც კი ჰყავთ ცნობილი ქომაგი ლამაზმანები, როგორიც, მაგალითად, სლოვაკეთისა და პარაგვაის ნაკრებები არიან, ესპანეთს ვითომ რატომ არ ეყოლება ტანფეხმშვენიერი გულშემატკივარი? პირენეელები ხომ კოხტა ლამაზმანთა ნაკლებობას არასოდეს უჩიოდნენ...**

ამჟამად ესპანეთის ნაკრების თილისმად და ყველაზე სექსუალურ ქომაგად წარმოშობით ლა კორუნიელი მოდელი ერიკა ვერნერი ითვლება, რომელმაც მსოფლიოს არაერთი პოდიუმი უკვე დაიპყრო და ახლა "ფურია როხას" ქომაგთა გულებს მიადგა.

მშვენიერი ერიკა დარწმუნებულია, რომ ბრაზილიაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული კვლავ ესპანეთის ნაკრები გახდება და ახლავე აცხადებს, რომ თუკი ესპანელებმა ბრაზილიაშიც იჩემპიონეს, მათთვის გარკვეული სიურპრიზი აქვს მოფიქრებული. ახლა მოდი და იმტვრიე თავი, ეს რა სიურპრიზი შეიძლება იყოს...

**როსტომ რაჭველიშვილი**



ტურიზმი

# ერაყელ ახალგაზრდებს სულ უფრო მეტად იზიდავს საქართველო

**საქართველო, როგორც დასვენების ადგილი და ტურისტული ქვეყანა, სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდა ერაყელთა შორის, რომლებსაც დიქტატორული რეჟიმისგან განთავისუფლებამ მოგზაურობის საშუალება მისცა. საქართველო კი ერაყელებისათვის არა მხოლოდ ლამაზი ბუნებით, არამედ გამარტივებული სავიზო რეჟიმითა და იაფი მომსახურებითაც მიმზიდველია.**

მაშინ როცა ხანგრძლივი და რთული საკონსულო პროცედურის გავლის შემდეგაც კი მეზობელი არაბული ქვეყნები იშვიათად აძლევენ ერაყის მოქალაქეებს ვიზებს, საქართველოში ერაყელი ტურისტები თავისუფლად შემოდიან და ერთწლიან ვიზას პირდაპირ აეროპორტში ყიდულობენ. სწორედ ასე იმოგზაურა რამდენჯერმე საქართველოში ერაყელმა სორან მაჯიდმა, რომელიც საქართველოში ბოლოს, მეგობრებთან ერთად, საკუთარი მანქანით იმყოფებოდა:

„პირველად საქართველოში ერთი კვირით გავჩერდი, ხოლო შემდეგ 10 დღით ჩავედი. პირველ ყოვლისა, მოგზაურობა იაფია, მეორეც, საქართველოს, ისევე როგორც ლიბანს, აქვს ბევრი მიმზიდველი ტურისტული ადგილი – საკუთარი ზღვა და მთიანი კურორტები. ერაყიდან საქართველოში ჩასვლა 80 დოლარი ჯდება. ერბილიდან 15-18 საათის სამანქანო გზაა, ავტობუსით მგზავრობას კი, დაახლოებით, 30 საათი სჭირდება. მე და ჩემი მეგობრები ჩემი ლენდ კრუიზის ჯიპით წავედით და, მანქანის ბენზინით გასამართად და საკვების მისაღებად აუცილებელი შესვენებების ჩათვლით, დაახლოებით 16 საათში ჩავედით“.






ერაყელი მურთადა კი ბაღდადში მდებარე ერთ-ერთი ტურისტული სააგენტოს მენეჯერია. როგორც მან რადიო „თავისუფლებას“ უთხრა, ბევრი ერაყელი საქართველოს იმ ძალიან ხელსაყრელი ფასების გამო ეტანება, რასაც მათ ტურისტული კომპანიები სთავაზობენ:

„ბევრი მიდის საქართველოში გასართობად და დასასვენებლად და, გარდა ამისა, დაბალი ფასების გამო. ეს ქვეყანა ტურისტებისათვის ახალი მისამართია. ხალხი ეძებს ხელმისაწვდომ გასართობ ადგილს, ხოლო საქართველომ კარი გაუღო იმათ, ვისაც ახალი შთაბეჭდილებები სურს. ვიზიტი, რომელშიც შედის პირდაპირ რეისზე თვითმფრინავის ორმხრივი ბილეთი, ერთი ღამე ოთხვარსკვლავიან სასტუმროში, თავისი საუზმითა და ექსკურსიით, 1000-დან 1200 ამერიკულ დოლარამდე ღირს“.

მალე საქართველოს, ჩვენს ერაყელ კოლეგასთან ერთად, ახალგაზრდა ერაყელი მოჰამედ ქარემი ესტუმრება, რომელმაც არა მხოლოდ საქართველოს მიმზიდველობა იცის კარგად, არამედ ის სირთულეებიც, რომლებსაც ერაყელი ტურისტები აწყდებიან:

„ბევრ პოპულარულ ტურისტულ ადგილში ნახავთ ხალხს, რომელიც ატყუებს და ფულს სძალავს ტურისტებს. ერაყელებისათვის საქმეს კიდევ უფრო ართულებს ენობრივი ბარიერი, მაგრამ საქართველოში წასვლის მსურველ ახალგაზრდა ერაყელთა რიცხვი ამის გამო არ მცირდება. თვით თურქეთში და, კერძოდ, სტამბულშიც ნახავთ ბევრ ერაყელ ტურისტს, რომლებიც ექსპლუატაციის სამიზნეს წარმოადგენენ. სურვილი, ისარგებლონ მეგობრული კლიმატით, ხელს უწყობს იოლ სამიზნედ მათ ქცევას. და კიდევ, დასავლეთის სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ამ ქვეყანაში შესვლის უფლების მოპოვება იოლია და ეს იზიდავს ერაყელებს, რომლებიც ცდილობენ, გაექცნენ ბომბებსა თუ სხვა საფრთხეებს“.

მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, მოჰამედ ქარემის თქმით, სტამბულისა და ბეირუთის შემდეგ, საქართველო იმ წამყვანი ქვეყნების სამეულშია, სადაც იგი თანამემამულეებს უყოყმანოდ ურჩევს წასვლას.

**კობა ლიკლიკაძე**

კრიმინალი

## შსს-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღო

**სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, 1964 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი გელა ბ. თბილისში, გოთუას ქუჩაზე დააკავეს.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას რამდენიმე შეკვრად დაფასოებული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით სულ ამოღებულია 16 გრ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც 8 გრ „ჰეროინს“ შეიცავს.**

**სამინისტროს ინფორმაციით, ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ გელა ბ. დაკავების მომენტში „ჰეროინის“ და „მეტადონის“ ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.**

**დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.**

**ინტერპრესი**



ინფორმაცია

## ფშავ-ხევსურეთი დაცულ ტერიტორიად გამოცხადდება

**შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე პარლამენტს დაახლოებით ერთ კვირაში მიმართავს.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა, საქართველოს მთიანეთში გაჩნდება კიდევ ერთი დაცული ტერიტორია და ეს არის სტრატეგიული ზონა, რომელიც რუსეთის ფედერაციას ესაზღვრება.**

**გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებით, გერმანელი პარტნიორების მეშვეობით ქართულმა მხარემ 9 მლნ. ევროს გრანტი მოიპოვა. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიად გამოცხადების შემდეგ კი, იქ 50-მდე ადამიანი დასაქმდება.**

**ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიად გამოცხადება ამ კუთხის გადარჩენის ერთ-ერთი ბრწყინვალე გზაა.**

## არბიტრაჟის უწყება (შეტყობინება)

## საქმე №01-15/2013

თქვენ, **ზურაბ პოლოლიკაშვილს (პ/ნ 01009006271),** თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №37დ, ბინა 88, გიბარებთ მოპასუხის სახით საარბიტრაჟო სხდომაზე 2013 წლის 4 დეკემბერს, 13 საათზე, საქმეზე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელის გამო შპს „თბილისი გოლფ კლუბის“ და ზურაბ პოლოლიკაშვილის მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ, მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია, განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია, განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

ჩვენი კარაბადინი

# ფეხები ცივ წყალში ჩაყავით და... იცეკვეთ!

**ცხოვრების ჯანსაღი წესის დასაცავად, ცხადია, არც თამბაქო უნდა მოწიოს კაცმა, ალკოჰოლიც ზომიერად უნდა მიიღოს, კვების რეჟიმიც უნდა დაიცვას, დილაობით გამამხნევებელი ვარჯიშებიც შეასრულოს... ეს, რაღა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ, მოდით გულწრფელნი ვიყოთ: თანამედროვე ცხოვრების გამალებულ რიტმში ყოველივეს საათების მიხედვით შესრულება საკმაოდ ძნელი საქმეა. ამდენად, ვფიქრობთ, ზამთრის მოახლოებასთან ერთად, ორგანიზმის იმუნიტეტის გაძლიერების რამდენიმე მარტივი ხერხი უკლებლივ ყველას წაადგება.**

**კოჭას ჩაი**

ვირუსული ინფექციისგან თავის დაცვის საუცხოო საშუალებაა კოჭა. ცივ დროს კოჭას ჩაი მარტო კი არ გაგათბობთ, ვირუსებსაც დახოცავს. ტყუილად როდია, რომ იაპონელები უმ თევზს კოჭასთან ერთად მიირთმევენ.

გახეხილი კოჭა შეგიძლიათ ნედლიც იხმაროთ და გამხმარიც – ჩაის ერთ კოვზს ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით. როცა ჩაი ოდნავ შეგრილდება, ნაჭერი ლიმონი და კოვზი თაფლი დაუმატეთ.

**ჭიქა წითელი ღვინო**

ღიახ, მიუხედავად იმისა, რომ გაციების სეზონზე ექიმები, ორგანიზმის დასუსტებისგან დასაცავად, სპირტიანი სასმელების მორიდებას გვირჩევენ, თუმცა, დღეში ჭიქა წითელი ღვინის დალევის სიკეთეს არავინ უარყოფს. ცივ ამინდში ჭიქა ღვინო (უმჯობესია წითელი) თქვენ იმუნიტეტსაც გაამაგრებს, ასევე გულსა და სისხლძარღვებს მოუხდება. მთავარი კი ამ დროს ზომიერებაა!

**ხასიათის გაკაჟება**

იმუნიტეტს შიგადაშიგ, ასე ვთქვათ, „შეჯანჯღარება“ სჭირდება, ამიტომ საღამოთი შინ მისვლისას ტაშტში 10-15 სანტიმეტრზე ონკანის წყალი ჩაასხით და ფეხები 5-10 წამით ჩაყავით, შეგიძლიათ ტერფები აქტიურად ამოძრაოთ. შემდეგ ფეხები კარგად გაიმშრალეთ ხისტი პირსახოცით და შალის წინდები ჩაიცვით. თავდაპირველად ეს პროცედურა ერთობ არასასიამოვნოა, მაგრამ ძალიან დიდი სარგებელი მოაქვს. ერთი რომ დაღლილობას უცბად ხსნის, მეორეც გაყინული წყალი კი არ აციებს, არამედ ფეხებს უცბად ახურებს, ხოლო სითბო დიდხანს ნარჩუნდება, მესამე კი ისაა, რომ ბევრს... ყელის ტკივილს შველის!

**„ღარიბთა ანტიბიოტიკი“**

ცნობილია, რომ ჩილის წიწაკის მსგავსი ცხარე საკმაზები იმუნიტეტის გაძლიერებას უხდება, მისი აქტიური ინგრედიენტები სისხლძლარღვებს აფართოებს და სისხლის წნევის დაწევას უწყობს ხელს. მსგავსი თვისებები აქვს კურკუმასაც, მაგრამ ყველაზე ძლიერი ანტივირუსული თვისებები აქვს ნიორს, რომელსაც უწინ „ღარიბთა ანტიბიოტიკს“ უწოდებდნენ. გარდა ამისა, გაციების სეზონში მოგიხდებათ მაწვნის ან ნატურალური იოგურტის ერთი ჭიქის დალევა.



**ცაცხვის ნაყენი**

ბალახების – პიტნის, სალბისა და ბარამბოს ნარევის ნაყენის დალევა ძილის წინ 7-8 წლის ბავშვებისთვისაც შეიძლება. ეს ბალახეული იმუნიტეტს ამაგრებენ, წვრილი სისხლძარღვების სპაზმებს ხსნიან და ლორწოვან გარსს ასუფთავებენ. გარდა ამისა, ცაცხვის ყვავილი, რომელიც შეიძლება ჩვეულებრივ ჩაისთან ერთად დავაყენოთ, თავის ტვინს ჰიპოქსიისგან იცავს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## დღესასწაული

# გვფარავდეს წმინდა დიდმოწამე გიორგის მადლი!




**23 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღეს.**

**...ქართველთა განმანათლებელი, წმინდა მოციქულთა სწორ ნინოს დაუდგენია გიორგობის დღესასწაული (ახლო ნათესავები იყვნენ).**

საქართველოს განსაკუთრებული მფარველია წმინდა დიდმოწამე გიორგი. ისტორიიდან ცნობილია, რომ წმინდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში...

დიდმოწამე გიორგის სახელზეა აგებული საქართველოში არსებული ეკლესიების უმეტესი ნაწილი. ერთ-ერთი მათგანია სუჯუნის (აბაშა) სამნავიანი გუმბათოვანი ტაძარი. ტაძარს სულ რაღაც შვიდიოდე მეტრით დაშორებული პატარ ღელე ჩამოუდის. ღელეზე ქვის ხიდია და ამ ხიდზე თითქმის ტაძრის სიმაღლის სამრეკლო დგას. წყაროებიდან ირკვევა, რომ ტაძარი და სამრეკლო აშენებულია 1845 წელს დადიანების მმართველობის დროს. სუჯუნის წმინდა გიორგის ხატი ითვლებოდა „შემსმენელ" ხატად... ამბობენ – რასაც შესთხოვ, შეისმენსო.

აღსანიშნავია, რომ ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა (მისმა მაღალუსამღვდელოესობამ) მეუფე პეტრემ სუჯუნის ტაძართან დედათა მონასტერი დააარსა, მისი ლოცვა-კურთხევით მონასტრის წევრები მთელ დღეებს ლოცვაში, შრომაში, ადამიანების მხარდაჭერასა და რჩევა-დარიგებაში ატარებენ.

მეუფის ლოცვა-კურთხევით ვერცხლისგან დამზადდა ზუსტი ასლი სუჯუნის წმინდა გიორგის მთავარი ხატისა, შემსმენელად და სასწაულმოქმედად წოდებულისა...

ამ კუთხის ხალხი ბედნიერია იმითაც, რომ წმინდანმა – დიდმოწამე გიორგიმ ინება თავისი ნაწილების დავანება სწორედ აქ, ამ დალოცვილ კუთხეში...

**გიული ლიპარტია**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



**„ნაცმოძრაობას" თელავის ოფისსართმევენ?**

„ნაციონალური მოძრაობის" ინფორმაციით, პარტიის თელავის რაიონული ორგანიზაციის ოფისში სასამართლოს ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე პოლიციაა შესული. „პოლიციის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია ვინმე გია სესიტაშვილის განცხადების საფუძველზე, რომ თითქოსდა პარტიამ აიძულა იგი ფართი მიეყიდა. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" აღნიშნული ფართი კანონის სრული დაცვითა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ზემოაღნიშნული პიროვნებისაგან მართლაც შეიძინა 2006 წელს. არც მაშინ და არც შემდეგ არავითარი პრეტენზია ამ პიროვნებას არ ჰქონია. საყურადღებოა, რომ გია სესიტაშვილი „ქართული ოცნების" ერთ-ერთი აქტივისტია. ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ საქმე პოლიტიკურადაა მოტივირებული", – აცხადებენ „ნაცები".

**„ალია"**

**„რამდენიმე მინისტრი შესაცვლელი იყო"**

– მიაჩნია ექსპერტ კახი კახიშვილს, – ყველა მინისტრი არ იმსახურებდა მინისტრთა კაბინეტში დარჩენას. საჭირო იყო კონკრეტული ცვლილებები, ზოგიერთი სამინისტრო ინერციით მუშაობს. კაბინეტის უცვლელი შემადგენლობით დატოვება განპირობებულია იმით, რომ მმართველი გუნდი მრავალპარტიულია და კონკრეტული მინისტრის უკან კონკრეტული პოლიტიკური ძალა და პოლიტიკური ინტერესი დგას.

**„ახალი თაობა"**

**სტალინის ძეგლი გორში, სავარაუდოდ, 21 დეკემბრამდე აღდგება**

სტალინის ძეგლი გორში, „დიდი ბელადის" სახელმწიფო სახლ-მუზეუმის ეზოში, შესაძლებელია 21 დეკემბრამდე დაიდგას. ამის შესახებ გორის გამგებელი პაპუნა კობერიძე აცხადებს და დასძენს, რომ მუზეუმის ეზოში აღდგენითი სამუშაოები უკვე დაწყებულია. ძეგლის მონტაჟისთვის 25000 ლარია გათვალისწინებული.

**„რეზონანსი"**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## დაიჯესტი

### კრედიტის შუქ-ჩრდილები

**ამერიკელმა მკვლევარებმა კვლევების შედეგად საოცარი დასკვნა გამოიტანეს: თურმე საბანკო კრედიტები დიდად ვნებენ... ახალგაზრდების ჯანმრთელობას!**

**აღმოჩნდა, რომ ვალებში ჩავარდნილი ახალგაზრდები თავიანთ უდარდელ თანატოლებზე გაცილებით ხშირად უჩივიან ჰიპერტონიასაა და ფსიქიკის მდგომარეობას.**



ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის მეცნიერებმა 24-32 წლის 8400 ახალგაზრდა რესპონდენტი გამოკითხეს და აღმოჩნდა, რომ მათგან 20 პროცენტს ყველა ვალის დაფარვა არ შეუძლია. ასეთი ვითარება კი დეპრესიის, ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის, ასევე ფსიქიკის გაუარესების მიზეზი ხდება.

ვალებში ჩავარდნილ ხალხს არტერიული წნევა საშუალოდ 1,3 პროცენტით უწევს, რაც ჰიპერტონიის რისკს 17 პროცენტით, ხოლო ინსულტისას 15 პროცენტით ზრდის.

თუმცა, კრედიტებს დადებითი მხარეც ჰქონიათ: ისინი ცოდნის დაუფლების სურვილის გაღვივების კარგი სტიმულატორები არიან. მაგალითად, ის სტუდენტები, ვისაც სასწავლო კრედიტის თანხა ჰქონდათ გადასახდელი, სწავლას სხვებზე გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ. ისინი თავიანთ უდარდელ თანატოლებზე გაცილებით მეტად არიან მოწადინებულნი კარგი განათლების მიღების შემდეგ კარგ სამუშაოზე მოეწყონ და ვალები დაფარონ.

### ტაბუ თამბაქოს მოწევაზე

**ლონდონის მუზეუმში მე-20 საუკუნის ქრონიკას აჩვენებენ. ბოლო დროს ჟურნალისტების ყურადღება ერთმა ძველმა ფირმა მიიპყრო, რომელზეც მეტროთი მგზავრობაა გადაღებული: ჯენტლმენები ვაგონებში შედიან, ადგილებს იკავებენ და... ლამის ერთიანად თამბაქოს გაბოლებას იწყებენ!**

თურმე თამბაქოს მოწევა ლონდონის მეტროში 1987 წლამდე ნებადართული ყოფილა, მაგრამ როცა გაჩენილი ხანძრისგან 31 კაცი დაიღუპა, მიწისქვეშა ტრანსპორტში მოწევა აკრძალეს. ახლა ყველა ესკალატორის გასწვრივ თამბაქოს მოწევის ამკრძალავი ფირნიშებია, თუმცა, შეხსენება აღარ სჭირდება –2007 წლიდან მოყოლებული ბრიტანეთში საზოგადოებრივ ადგილებში მოწევა აღარ შეიძლება.

## ცინცხალი ანეკდოტები

**ბაქოს რესტორანი. მამედა და ფრანგი მოდელი გოგონა.**

**– მადმუაზელ, რატომ არ ჭამთ?**

**– ფიგურას ვუფრთხილდები.**

**– ფიგურა თუ გინდა უნდა ჭამო, ჭამო და ჭამო.**

* * *

**საუბარი ებრაელის საძინებელი ოთახიდან.**

**– სარა, ჩემი აქციები მაღლა იწევს.**

**– ვერაფერს იზამ, ბირჟა დაკეტილია.**

**– ჩემი აქციები ისე გამყარდა, როგორც არასოდეს.**

**– გითხარი, ბირჟა დაკეტილია.**

**ხუთი წუთის შემდეგ ვნებიანად:**

**– მოშე, ბირჟა გაიხსნა.**

**– ვერაფერს ვიზამ დაგენაცვლე, აქციების ფასი დაეცა.**

* * *



**ზის გაგლეჯილ კაიფში ექიმი აიბოლიტი და კურდღელს ფეხს აკერებს, თან ამხნევებს – ...აი, მიგაკერებ ფეხს, ბაჭია, და ახალი ფეხით ძველებურად შეძლებ ხტუნვა-თამაშს.**

**საცოდავი კურდღელი გაწამებული ხმით ევედრება:**

**– იქნებ არ ღირდეს ექიმო, უკვე მეშვიდე ფეხს მაკერებ, რვაფეხა ხომ არა ვარ.**

* * *

**მიხო ავტოავარიაში მოყვა. უცებ საავადმყოფოში გადაიყვანეს. თავს კარგად გრძნობს, არაფერი ტკივა. გასინჯეს, შეამოწმეს, ყოველი შემთხვევისთვის მთელი ღამით დაიტოვეს და მეორე დღეს საღ-სალამათი სახლში მივიდა. საღამოს საავადმყოფოდან ურეკავენ:**

**– მიხო, მთავარი ექიმი ვარ, დღესა ტელევიზორში შენი მანქანა ვნახე და, მგონი, სასწრაფოდ რამდენიმე რთული ოპერაცია გჭირდება.**

* * *

**– რა უნდა ჩამოვკიდოთ ახალ წელს ნაძვის ხეზე, რომ მთელი წელი ბედნიერად და უზრუნველად გავატაროთ? – ეკითხება მარო მიხოს.**

**მიხო კეფას იქექავს და ბრძნულ რჩევას აძლევს,**

**– ალბათ, პრეზიდენტი და პრემიერი...**

* * *

**მიხტუნაობს კურდღელი ტყეში და ხედავს ნაძვის ძირში გაოცებულ, თვალებგადმოკარკლულ ლომს, რომელიც უკანალს იზელს.**

**– ეი, ყურცქვიტავ, აფრიკაში ვართ?**

**– არა მეფეო, აფრიკა შორეულ სამხრეთშია, ტყეების, მთების, მლაშე ზღვების იქით.**

**– ეჰ, არ უნდა დავნაძლევებულიყავი სპილოსთან, ვის მაგარი პანჩურის ამორტყმა შეუძლია – ბურტყუნებს ლომი და უკანალის ზელვას აგრძელებს.**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24